экономической политике Милли Меджлиса Зияд Самедзаде отметил, что после обретения независимости мы достигли связей экономической науки с реальной жизнью. З.Самедзаде отметил, что самое большое значение в проведении столь грандиозного мероприятия заключается в его полном соответствии с задачами, определенными главой нашего государства по развитию азербайджанского общества в целом. Он также говорил о динамичном развитии страны. Выступивший на мероприятии заведующий отделом политико-экономических вопросов службы государственного советника по политико-экономическим вопросам Азербайджанской Республики Маил Рагимов подчеркнул, что аудиторская служба в Азербайджане — ровесница нашей независимости. М.Рагимов говорил о важной работе, проделанной по укреплению законодательной базы в этой сфере, отметил значение концепции. Выступивший с презентацией председатель Палаты аудиторов Азербайджанской Республики, доктор экономических наук, профессор Вахид Новрузов довел до внимания участников мероприятия основные положения «Концепции развития аудиторской службы в Азербайджанской Республике». Участники мероприятия отметили, что концепция развития аудиторской службы может сыграть важную роль в организации и урегулировании аудиторской службы в Азербайджане в соответствии с международными тенденциями, сфере обеспечения финансовой прозрачности и борьбы с коррупцией в нашей стране.





## TORTIOUS INTERFERENCE WITH BUSINESS INTERESTS: AN AMERICAN PERSPECTIVE

A front-page article in the *New York Times* recently attracted the attention of lawyers and businesses because of the unusual story that it told.<sup>1</sup> The article reported that an ultra-wealthy hedge fund operator had engaged in transactions and activities which amounted to a billion dollar bet that he could ruin another company (Herbalife) and make money from doing so.

According to the article, the hedge fund operator’s conduct constituted an “extraordinary attempt to leverage the corridors of power-in Washington, state capitols and city halls - for his hedge fund’s profit after taking a \$1 billion financial position called a short, a bet that will pay off only if Herbalife’s stock drops.”<sup>2</sup>

To carry out his plan, the hedge fund operator convinced certain members of Congress to call for investigations in the legality of the business activities of Herbalife. A New York State senator, a Boston city councilmen, the majority leader of the Nevada Senate, and various elected officials in California were all persuaded to join the cause.

The hedge fund operator’s team organized protests, called news conferences, and instigated letter-writing campaigns. These efforts were allegedly intended to shake investors’ confidence in Herbalife and cause the price of its shares to fall.

The hedge fund operator purported to be concerned about Herbalife’s bad treatment of minorities, and he promised to give to charity any profits that he made from his campaign against Herbalife. However, the operator admitted that the investors in his hedge fund would be enriched if his plan succeeded. Thus, it seems clear that the operator would benefit indirectly. A former chairman of the federal Securities and Exchange Commission was quoted as saying that it looked as though the hedge fund operator was more interested in moving the price of Herbalife’s shares than in spreading the truth about its treatment of minorities.

From a legal perspective, the question is whether such efforts to harm another business are permissible. Under American law, the logical starting point for thinking about this issue is a body of legal principles called the law of “tortious interference.” In America, this part of tort law is almost entirely based on common law principles. Thus, the relevant rules are found not in codes but in the published decisions issued by courts in earlier cases.

The origins of American law on tortious interference can be traced back to *Lumley v. Gye*,<sup>3</sup> a British lawsuit. In that case, decided in 1853, the Queen’s Bench held that that a competitor



**Vincent R. Johnson**

Professor of Law, St. Mary’s University, San Antonio, Texas, USA.  
Member of the Editorial Board of Business and Law.

could be held liable for damages caused by his persuading an opera star to break her exclusive-engagement contract to sing only at the plaintiff’s opera house.

There are two branches to the American law of tortious interference. The first branch is called “tortious interference with contract.” The second branch is called “tortious interference with prospective advantage.”

The two causes of action for tortious interference are part of what is sometimes termed “advanced tort law.”<sup>4</sup> While all American lawyers are well acquainted with basic tort principles,<sup>5</sup> only a small percentage of those lawyers would be able to say much about the law of tortious interference. However, business lawyers are an exception. Claims for tortious interference are often asserted in litigation between American businesses.

In some instances, a successful tortious interference claim will result in an award of damages in the millions of dollars. Indeed, in a landmark case named *Texaco v. Pennzoil*,<sup>6</sup> which was decided a generation ago, a court awarded the plaintiff what was then the largest tort judgment of all time, \$10.2 billion (as affirmed on appeal).

The American law governing liability for tortious interference is complex. Nevertheless, it is possible sketch some of

4 See Vincent R. Johnson, *Advanced Tort Law: A Problem Approach* (LexisNexis 2010) (Chapter 5 deals with tortious interference).

5 See Vincent R. Johnson, *Studies in American Tort Law* (Carolina Academic Press, 5th ed. 2013).

6 729 S.W.2d 768 (Tex. App. 1987). The case was ultimately settled for \$3 billion.

1 Michael S. Schmidt, Eric Lipton, and Alexandra Stevenson, *Hedge Fund Lobbies Hard to Back an Investment*, N.Y. Times, Mar. 10, 2014, at A1.

2 Id.

3 2 El. & Bl. 216 (1853).



the main features of this body of legal principles as it might apply to the Herbalife dispute. It is plausible, but far from certain, that the hedge fund operator's efforts to destroy Herbalife could subject the operator to liability under the law of tortious interference.

First, it is important to understand that the law of tortious interference is in flux. It also differs to some extent from one state to the next. Thirty-five years have passed since the relevant legal principles were clarified and simplified by the American Law Institute in the *Restatement (Second) of Torts*.<sup>1</sup> The relevant provisions of the *Restatement (Third) of Torts* have not yet been drafted.

Second, American law is clear that only intentional interference with business relationships is actionable. Merely negligent interference rarely gives rise to liability. The news reports related to the Herbalife controversy suggest that the hedge fund operator indeed intends to interfere with Herbalife's business interests. Therefore, it seems likely that Herbalife would be able to establish that the operator acted with the required degree of culpability. However, one difficulty might relate to whether the plaintiff would need to prove that the defendant intended to interfere with specific business relationships, rather than with business interests generally. Many cases have held that the defendant in a tortious interference action must have known of the particular contract that was disrupted. Other cases have applied to looser standard. It makes sense that intended widespread harm should be actionable, but most tortious interference cases have involved conduct much more narrowly focused than a generalized intent to ruin a corporation.

Third, it is easier to sue for tortious interference with contract than for tortious interference with prospective advantage. This makes sense because an economic interest that meets the requirements of the law of contracts undoubtedly deserves more protection than an interest involving only the hope that a contract would be reached. Thus, it would be easier for Herbalife to argue that, as a result of tortious interference, suppliers breached existing contracts with it to provide materials or services than to argue that it was harder for Herbalife to strike favorable deals with suppliers who were under no contractual obligation to provide goods or services.

Fourth, there is a distinction between complete disruption and mere "burdening." Assuming that other requirements are met, all states allow a plaintiff to sue for complete disruption of economic relations, such as when the defendant in a tortious interference action caused a party to a contract to breach the agreement or caused a prospective party to a contract not to enter into an agreement. In contrast, in cases involving mere "burdening," the performance or negotiation of a contract is made more difficult or expensive, but not disrupted entirely. For example, in the Herbalife dispute, Herbalife sought to defend its reputation by mobilizing an army of lobbyists. The amounts spent on that effort were an unwanted burden to Herbalife. While some American states allows plaintiffs to recover the costs of "burdening" in tortious interference

actions, others do not. In the latter group of states, only losses resulting from total disruption of a business relation are actionable.

Fifth, many states hold that interference with prospective advantage is actionable only if the defendant engaged in "independently tortious" conduct. Thus, something in the nature of violence, misrepresentation, or otherwise clearly unlawful conduct is required. Simply persuading another person not to enter into a contract with the plaintiff is not actionable.

Sixth, interference with business interests is actionable only if the interference is "improper" or, in other words, "unprivileged." This is a key issue in most cases and the analysis is often multi-dimensional. In many instances, it is necessary to refer to other areas of American law. For example, in the United States, there is a constitutional right to petition the government. In light of that fact, the actions of the hedge fund operator in contacting the public officials and encouraging them to investigate Herbalife might be privileged, and therefore not the basis for a tortious interference lawsuit. However, the Petition Clause of the United States Constitution does not grant absolute immunity to one who petitions the government. Rather, the guarantees of the Petition Clause are coextensive with those which have been articulated in First Amendment cases. Thus, statements that are made with knowledge of falsity or reckless disregard for the truth are not protected.<sup>2</sup> In contrast, true statements usually enjoy an absolute privilege.<sup>3</sup>

It is impossible to reduce the complex body of law governing the issue of whether interference was improper to a brief statement. The most that can be said is that in the usual case the relevant factors include "(a) the nature of the actor's conduct, (b) the actor's motive, (c) the interests of the other with which the actor's conduct interferes, (d) the interests sought to be advanced by the actor, (e) the social interests in protecting the freedom of action of the actor and the contractual interests of the other, (f) the proximity or remoteness of the actor's conduct to the interference, and (g) the relations between the parties."<sup>4</sup>

American tort law is complex and there are many aspects that could be improved. No other country would adopt all of the American rules on tortious interference "as is."<sup>5</sup> Nevertheless, even as presently configured, the law of tortious interference performs an important role in regulating business competition. Wrongdoers are often held accountable for unwarranted interference with business interests.

2 Cf. *McDonald v. Smith*, 472 U.S. 479 (1985).

3 *Ventas, Inc. v. HCP, Inc.*, 647 F.3d 291 (6th Cir. 2011) (affirming a \$101 million compensatory damages judgment because the defendant failed to prove the statements that caused the interference were true).

4 *White Sands Group, L.L.C. v. PRS II, LLC*, 2009 Ala. LEXIS 201, \*14 (Ala.) (quoting *Restatement (Second) of Torts* § 767 (1979)).

5 Cf. *Randall Peerenboom, Toward a Methodology for Successful Legal Transplants*, 1 *Chinese J. Comp. Law* 4 (2013).

1 See *Restatement (Second) of Torts* §§ 766-774B (1979).

## ბიზნეს-ინტერესებით განპირობებული სამოქალაქო დავები: ამერიკული გამოცდილება

ვინსენტ რ. ჯონსონი, სამართლის პროფესორი,  
სანტ-მარის უნივერსიტეტი, სან - ანტონიო, ტეხასი, აშშ;  
ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ სარედაქციო საბჭოს წევრი

### რ ა ზ ი უ მ ა

ავტორი მოცემულ სტატიაში განიხილავს New York Times-ის პირველ გვერდებზე ახლახანს გამოქვეყნებული სტატიის ქეისს, რომელმაც მიიპყრო ადვოკატების და ბიზნესმენების ფართო საზოგადოების ყურადღება იმ დაუჯერებელი ისტორიის გამო, რომელსაც ის მოგვითხრობდა.

კერძოდ, სტატია ეხება ისტორიას, რომლის მიხედვით ამერიკის უმსხვილესი და უმდიდრესი ჰეჯირების ფონდი ჩაება 1 მილიარდ დოლარიან გარიგებასა და ამ გარიგებასთან დაკავშირებულ ქმედებებში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მეორე კომპანიის (Herbalife) განადგურებას და ემსახურებოდნენ ამ გზით „ზღაპრული“ მოგების მიღებას.

ამ სტატიის მიხედვით, ჰეჯირების ფონდის ქმედება მოიცავდა „ექსტრაორდინალურ მცდელობას“, რომ საკუთარი ლობისტური შესაძლებლობების გამოყენებით ვაშინგტონსა, კაპიტოლიუმში და სხვაგან, მიეღო მოსალოდნელი მოგება 1 მილიარდ დოლარიანი ტრანსაქციიდან, რომელიც შედგებოდა Herbalife-ის აქციების გაყიდვიდან და რაც შესაძლებელი იქნებოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის აქციების ფასი დაეცემოდა.

ამ გეგმის განსახორციელებლად, ჰეჯირების ფონდის მენეჯმენტმა დაარწმუნა კონგრესის რამდენიმე წევრი, რომ მოეთხოვათ Herbalife-ის ბიზნესის ლეგალურობის საკონგრესო მოკვლევის ინიცირება. ნიუ-იორკის სენატორი, ბოსტონის მერი, ნევადის სენატორი უმრავლესობის ლიდერები და სხვა ცნობილი პოლიტიკოსები ასევე ჩართული იყვნენ ამ სქემაში.

ჰეჯირების ფონდის მენეჯმენტმა ორგანიზება გაუკეთა შეკვეთილ პროტესტებს, მოიწვია საინფორმაციო პრეს-კონფერენციები და სათავეში ჩაუდგა წერილობითი პეტიციების კამპანიას Herbalife-ს საწინააღმდეგოდ.

ყველა ამ ქმედების უკან კი ინვესტორებში პანიკის დასადგურების მოტივაცია და შესაბამისად აქციების ფასების ვარდნის მცდელობა იდგა.

ჰეჯირების ფონდი ამ ქმედებებში თავს წარმოაჩენდა, როგორც დაინტერესებული მხარე, Herbalife-ის მხრიდან უმცირესობებთან ცუდი მოპყრობის ქცევის გამო და მისი დაპირება საზოგადოებისთვის იყო, რომ გადარიცხავდა საქველმოქმედო საზოგადოებებში ნებისმიერი სახის კომპენსაციას, რომელსაც მიიღებდა ამ კამპანიიდან, რომელიც Herbalife-ის საწინააღმდეგოდ იყო წარმართული. თუმცა, რაღაც ეტაპზე ჰეჯირების ფონდის მმართველობამ ასევე აღიარა, რომ მათი ინვესტორები მიიღებდნენ დიდ მოგებას იმ შემთხვევაში, თუ მათი გეგმა განხორციელდებოდა და შესაბამისად კომპანიის აქციის ფასი დავარდებოდა. ამდენად, ნათელია, რომ ჰეჯირების ფონდი ასევე იღებდა არაპირდაპირ სარგებელს ყოველივე ზემოთქმულიდან. ფასიანი ქაღალდების ფედერალური კომისიის ყოფილი თავმჯდომარის აზრით კი, ჰეჯირების ფონდი იმით უფრო იყო დაინტერესებული, რომ შეეცვალა Herbalife-ის აქციების ფასები, ვიდრე იმ ჭეშმარიტების დადგენით, თუ რეალურად როგორ ეპყრობა უმცირესობებს ეს კომპანია.

ავტორი ასკვნის, რომ თუმცა შეუძლებელია კანონის ნორმების შემჭიდროვება მოკლე თეზისებამდე იმის დასადგენად, იყო თუ არა არასათანადო ჩარევა. რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ ისეთ უცნაურ შემთხვევებში, როგორც აღნიშნული ქეისია, გასათვალისწინებელი ფაქტორები მოიცავს: (ა) მოთამაშეების ქცევის ბუნებას, (ბ) მოთამაშეების მოტივს, (გ) სხვების ინტერესებს, რომელთანაც მოთამაშეების ქცევა მოდის შეხებაში, (დ) მოთამაშეების მხრიდან ადვოკატირებულ ინტერესებს, (ე) მოთამაშის მოქმედების თავისუფლების დაცვის სოციალურ ინტერესებს და სხვების კონტრაქტულ ინტერესებს, (ვ) მოთამაშის ქცევის დაშორებას პოტენციური ჩარევის ობიექტიდან, და (ზ) მხარეებს შორის ურთიერთობას.

ამერიკული სამოქალაქო კანონმდებლობა მეტად რთული და კომპლექსური საგანია და არსებობს მრავალი ასპექტი, რა კუთხითაც შესაძლებელია მისი გამოსწორება. ფაქტია არც ერთი სხვა ქვეყანა არ გადაიღებს ამერიკული კანონმდებლობას და არ დანერგავს სამოქალაქო კოდექსს „თვალდახუჭული“, ამის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ ამერიკული კანონმდებლობის ნიუანსების ცოდნა და გათვალისწინება საჭირო ხდება, რადგან იმ შემთხვევაშიც კი თუ გავითვალისწინებთ, თუ როგორაა ის კონსტრუირებული დღეს, ამერიკული სამოქალაქო სამართალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესის კონკურენციული გარემოს რეგულირებაში აშშ-ში. სწორედ ამ კანონმდებლობითაა ხშირად განპირობებული, რომ არასამართლიანი კონკურენციის მოთამაშეები ხდებიან ანგარიშვალდებულებები საზოგადოების წინაშე საკუთარი ბიზნეს-ინტერესებით განპირობებული სამოქალაქო დავების გამო კანონით გათვალისწინებული ახსნა-განმარტებების მისაცემად.

## Academic freedom at Georgian Universities

Prof. Dr. Giorgi Rusiashvili

### Academic freedom

1. In the curriculum for each specialty, which shall be prepared by the relevant faculties of Universities, there shall be both mandatory and selective courses giving the respective amounts of credits to increase the competition between the subjects, which is not the case today;

2. The curriculum shall be prepared according to Bloom's taxonomy of learning domains to better allocate the courses in the curriculum depending on the year of teaching to reach the specific goals for each respective domain;

<http://www.nwlink.com/~donclark/hrd/bloom.html>

3. The syllabus for these course which shall be prepared by the teachers shall contain the course skills and knowledge results' minimal pass level requirements;

4. There shall be different & selective tutors for each of the courses to increase the competition between the teachers and as based on it to increase the quality of the teaching;

5. Teaching and assessment shall be separated from each other, so this two functions of the learning process which are interlinked today in an "ugly" form shall end. So the students based on competitive process basis of selection of tutors to select those and only those teachers which better than others prepare their skills, knowledge and background to pass the minimal pass level requirement for the course as defined in clause (3), which will increase the quality of teaching;

6. There shall be the established the pass level examination to each course based on independent assessment not linked to the tutors, which shall be thus done as absolutely independent measurement of skill & knowledge obtained;

7. The tutor shall select the studying program based on its free opinion and choice but in order the students to pass the minimal pass level requirement based on the study and syllabus aims and purposes;

8. The text books for this purpose shall be translated in the language of instruction (Georgian, English or Russian etc) for tutors and students with the help of Universities;

9. There shall be private (for fee) and public (free of charge) universities, where for the entry to the private universities it will be enough the attestation exams only (what today is called 'saatestato gamocdebi' - meaning successful completion of the secondary school) and for the entry to the public universities it shall be necessary passing also of the entry level of national state exams (which is called today - ertiani erovnuli gamocdebi, which would mean the certification to enter studying at public Universities);

10. At the end both private and public Universities shall have the common level of assessment (state examination) as diplomas from both public and private Universities shall be inter-recognizable. For example at the level of master's degree these may be regulated by the one and the same standards for the master thesis assessment. Regarding the bachelors degree level there might be invented again some sort of the bachelors diploma thesis writing which will be used as a tool for the standardized graduation from both public and/or private Universities;

11. The universities shall have dormitories as required properly where boys and girls shall live together in student life. From other point the Bologna process also treats the students as adults (20+), but which is hardly a case in Georgian reality as the students are linked to families and are treated by all as 'children';

12. From the public universities, the tutors shall be sent for training abroad.



# როგორ შევამსიროთ დანახულობის ეკონომიკური შედეგები

**„ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მან უსჯულოებაჲ ცა ქმნეს და ცოდვა იგი არს უსჯულოებაჲ“  
(1 ინ. 3, 4)**

**„ბოროტება ბუნებას თან ახლავს, როგორც ჟანგი სპილენძს და ჭუჭყი სხეულს, მაგრამ არც სპილენძის ოსტატს შეუქმნია ჟანგი, არც მშობლებს - ჭუჭყი. ამგვარადვე, არც ღმერთს შეუქმნია ბოროტება. პირიქით, მისცა მან ადამიანს ცოდნაც და განსჯაც, რომ გაქცეოდა იგი ბოროტებას...“**

**(წმ. ანტონი დიდი)**



**აკაკი ბაკურაძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საზოგადოების ისტორიული განვითარების კვალდაკვალ „რელიგია“, როგორც ადამიანთა მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი სფერო, შეიძლება განვიხილოთ, როგორც შინაგანი და საიდუმლო სულიერი კავშირი ხილული და არახილური სამყაროს საწყისთან, შემოქმედთან – უფალთან. სხვაგვარად, იგი ადამიანთა უპირველესი დანიშნულების აღსრულების მოთხოვნის შესრულება (თანამყოფადობა ღმერთთან) და როგორც მსოფლმხედველობა - თავის თავში ჩაირთავს ადამიანის ცხოვრების წესისა და ღვთის მცნებების შესწავლებას (მათ შორის: ჭეშმარიტების, დოგმატების და ა.შ.), რომელიც დაეხმარება თითოეულ ადამიანს დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი იმავე საზოგადოებაში, პარალელურად ამზადებს საკუთარ თავს მომავალი, ზეციური ნეტარებისათვის.

აღარ დაობენ იმ ფაქტზე, რომ ქრისტიანული (მართლმადიდებლური) ეკლესია ადამიანური ბუნებით ღმერთკაცური „ორგანიზმი“ და თავისი არსებობით დაკავშირებულია მსოფლიოსთან (სამყარო, ბიბლ. - „სოფელი“) და როგორც „მიწიერი ორგანიზაცია“, მას შესწევს უნარი სულიერად გარდაქმნას, „ფერი უცვალოს“ და გაწმინდოს კიდევ იგი („სოფელი“).<sup>1</sup>

შესაბამისად, რამდენადაც ჭეშმარიტად მოვიდა ღმერთკაცი იესო ქრისტე მსოფლიოს („სოფლის“) ცოდვის ტყვეობიდან გამოსახსნელად, იმდენადაა მისი ეკლესია მოწოდებული ემსახუროს მსოფლიოს მისივე გადასარჩენად, რამეთუ ესაა - შემოქმედი ღმერთისადმი (ინ. 1, 1-4) და ადამიანებისთვის მსახურების უწყვეტი

სწავლება.

ამიტომ, ეკლესია მოუწოდებს მის წევრებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების შენებაში მიიღონ მონაწილეობა იმ მომქმედი „წესების“ დაცვით, რომლებიც იქნება დაფუძნებული ქრისტიანული ეთიკის, ზნეობის და ა.შ. ნორმებზე.

ამდენად, ეკლესიის მთავარი ფუნქცია, ორიათასი წელია, ღვთისადმი მსახურებასთან ერთად, ადამიანთა სულების ხსნაა. ყოველივე ამას იგი აღწევს არა მხოლოდ ე.წ. ქადაგებებით, არამედ საზოგადოების სულიერი, მორალური და მატერიალური მდგომარეობის ამაღლებისკენ მიმართული საქმეებით, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია საყოველთაო სიყვარულის გავრცობაზე.

დღეს კიდევ უფრო აშკარაა და აუცილებელია გამოიკვეთოს იმ „წესების“ ერთობლიობა, რომელთა დაცვითაც შესაძლებელია საკუთარი კეთილდღეობის და ბედნიერების მიღწევა, „გახარება ორივე სოფელში“. რაც მთავარია, ეს „წესები“ არ უნდა გავიგოთ მხოლოდ, როგორც სახელმწიფოს მიერ მიღებული და აღიარებული სამართლებრივი ნორმებისა და კანონების ერთობლიობა (მათ შორის, საერთაშორისო), არამედ უნდა ეთანხმებოდეს ეკლესიის მიერ აღიარებულ „სჯულის კანონს“!

დღეს მთავარ პრობლემათა შორის გამორჩეულია **დანაშაულობა**. საზოგადოების მორწმუნე ნაწილი თვლის, რომ მისი შემცირებისთვის არსებობს რეალური გამოსავალი, რომლის მიხედვით, **დანაშაული არ უნდა იქნას გაგებული მხოლოდ როგორც პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს და ა.შ. წინააღმდეგ „სისხლის სამართლის კოდექსით“ გათვალისწინებული მართლსა-**

1 [www.vitebsk.orthodoxy.ru](http://www.vitebsk.orthodoxy.ru) /Официальная страница Витебской епархии Белорусского экзархата РПЦ

წინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ან უმოქმედობა, არამედ როგორც საკუთარი თავის წინააღმდეგაც მიმართული ქმედება (უმოქმედობა), რომლის ჩადენით ზიანს აყენებს საკუთარ თავსაც „ცოდვით დაცემის, ან ჩადენის“ გამო (იშვიათი და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა). ამდენად, კონკრეტული სამართალდარღვევა არა მარტო დანაშაულია, არამედ ცოდვაცაა! ე.ი. ყოველი ასეთი ქმედება (უმოქმედება) ამასთან ღვთის მცნებების დარღვევაცაა!

დანაშაულის<sup>1</sup> თვისებრიობაში თუ ჩავრდმავდებით, დავინახავთ სხვა მხარესაც. კერძოდ, არის შემთხვევები, როცა ჩაფიქრებულია დანაშაული (არა „დანაშაულის მცდელობა“), მაგრამ არ იქნა მოყვანილი მოქმედებაში, რისთვისაც მოქმედი კანონმდებლობა დასჯას არ ითვალისწინებს, რამეთუ ის მხოლოდ გონებაშია. სამაგიეროდ, მან „სცოდა გულით“ და თუ არ მოინანია სინანულით „იდეაშივე ჩასახული“, მაშინ იგი რჩება მასში ცოდვის სახით და განიკითხება (დაისჯება) კიდევ მის გამო. მაშასადამე, ვინაიდან დანაშაული, ძირითადად, გონებაში იბადება, ამიტომ მისი „პრევენცია“ შესაძლებელია იდეაში ჩასახვისთანავე, თუ იქნება ინდივიდის (ჯგუფის) კეთილი ნება: სძლიო(ნ)ს გულისთქმას და არ განახორციელო(ნ)ს ის ქმედებით (უმოქმედობით) და სწორედ ასეთი ქცევისკენ მოუწოდებს ყველა ქრისტიანს ეკლესიის სწავლება!

გამოდის, რომ ქრისტიანული ცხოვრების წესების დაცვით ცხოვრება საზოგადოებაში დანაშაულობის<sup>2</sup> (დანაშაულის გავრცელების ხარისხი იზომება %<sub>0</sub>-ში, რაც ნიშნავს თუ რამდენი ერთეული დანაშაული მოდის 1000 მოსახლეზე, ერთეული/1000კაცი) შემცირების გარანტიას, ანუ ადამიანთა ეკლესიური თანაცხოვრება დაგვაცილებს ბოროტებას და, შესაბამისად, ვიხსნით საკუთარ სულს ეკლესიის მიერ დადგენილი სამართლიანი სასჯელისგან (ჯოჯოხეთისგან).

ჩვენს ცხოვრებაში, ცოდვის დაცემით შემოსულმა ბოროტებამ თვისებრივად შეცვალა ადამიანი. მან დაკარგა მთავარი - უკვდავება და სრულყოფილება... და

1 ლათ. crimen.

2 ლათ. criminalitas. ნაშრომში ამ ცნების ქვემოთ იგულისხმება ის ცალკეული რეგისტრირებული დანაშაული, ანუ საზოგადოებისთვის საშიში ქმედება, რომელიც გამოვლენილია და აღრიცხვაზეა აყვანილი და გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. ბუნებრივია, მხოლოდ გამოვლენილ დანაშაულთა გავრცელების ხარისხი არ არის სრულად იმ რისკის მატარებელი, რომელიც საზოგადოებისთვის საშიშია. კიდევ უფრო დიდი რისკის მატარებელია ლატენტური (ლათ. latens) ანუ დაფარული დანაშაულები, რადგან რიგ გარემოებათა გამო, ვერ ხერხდება ამ დანაშაულთა ჩამდენი პირების გამოვლენა და დასჯა, რაც განაპირობებს მათ გაძლიერებას და გავლენის საზღვრების გაფართოებას ამა თუ იმ სფეროებზე. გამოვლენილი დანაშაული არის სამართალდარღვევის ერთი სახე, რომლის მიხედვით იქნება ესა თუ ის მსჯელობა წარმოდგენილ ნაშრომში, რადგან მას არ აქვს პრეტენზია განიხილოს სამართლებრივი რისკის შემცველი ყველა ქმედების ეკონომიკური შედეგები.

ცოდვის მუდმივ ტყვეობაში აღმოჩნდა. შესაბამისად, თითოეული ჩვენგანი ცოდვილი და, შესაძლებელია, პოტენციური დამნაშავეც შეიძლება აღმოჩნდეს. რაც შეეხება ცოდვასა და ბოროტებას, ჩვენ ამ შემთხვევაში განვიხილავთ მათ როგორც თვისობრივად მსგავსს და „სინონიმურს“ დანაშაულთან, როგორც ღვთის ისე საზოგადოების წინაშე. პრობლემის ასეთი წარმოდგენა უფრო მოფენს ნათელს მის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში ბუნდოვანია. რა გვადლავს ასეთი დარწმუნების საფუძველს? იგი ქრისტეს ეკლესიის სწავლებაშია!

თუ მივყვებით ეკლესიის სწავლებას, ცოდვა ესაა ადამიანის მიერ „ღვთის ნების“ დარღვევა, ანუ ადამიანის ბოროტი ნების გამოხატულება, ბოროტება კი - ადამიანის „ცოდვილი ნების“ გამოხატულების შედეგი. ბოროტება (ცოდვა, უსჯულოება, დანაშაული) იმდენად რთული ფენომენია, რომ არცერთი მოციქული მის თვისობრივ ახსნაზე არ ჩერდება წმ. წერილში. პირიქით, ისინი გადმოგვცემენ ქრისტე ღმერთის სწავლებას ბოროტებისგან (ცოდვისგან) სრული განთავისუფლების შესახებ. ამრიგად, ბოროტების (დანაშაულის) დამარცხება შესაძლებელია უპირველესად სჯულის კანონის დაცვით.

ისტორიულად, ადამიანთა თანაცხოვრება საზოგადოებაში, იმართება (ან წესრიგდება) იმ სამართლებრივი ნორმებით, რომელთა კლასიფიკაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

ა) **დაწერილი სამართალი.** იგი განკუთვნილია ორგანიზებული საზოგადოებისათვის („ადამიანური სამართალი“). მასთან გაიგება, ასევე, „დადგენითი“ სამართალი, რომელიც იმ კანონთა ერთიანობაა, რომელიც დადგენილია, ძირითადად, სახელმწიფოს მიერ და ფორმულირებულია კონკრეტულად;<sup>3</sup>

ბ) **დაუწერილი სამართალი.** იგი ასევე ორგანიზებული საზოგადოების დადგენილი მემკვიდრეობითი წესების (ადათი) ერთობლიობაა; ე.წ. ბუნებითი სჯული, რომელიც გენეტიკურია და მოიცავს ზნეობრივ დადგენილობებს და ლოგიკურად გამომდინარეობენ სინდისისაგან, შეგნებისაგან და ა.შ.;

გ) **კანონიკური სამართალი (სჯულის კანონი).** ამ სამართალის „წყარო“ არაა „დაცემული კაცის“ ბუნება თუ ნება (ადამიანური შემეცნების „შეზღუდულობიდან“ გამომდინარე), არამედ იგი მოიცავს ქრისტე ღმერთის მიერ განცხადებულ საღმრთო ჭეშმარიტებებს, რაც „ავთენტურად“ (ავტორიტეტულად) დასტურდება სულიწმიდით, ეკლესიის მიერ!<sup>4</sup>

ბევრს გაუკვირდება, მაგრამ ღმრთის მცნებების დაცვაში არ არის ისეთი უმნიშვნელო რამეც კი, რომელსაც შეუძლია ადამიანი მიიყვანოს ცოდვით დაცემამდე, მით უმეტეს, წარწყმეტამდე. ამისათვის კი აუცილებელი და საკმარისია მხოლოდ ერთი რამ: **გავიგონოთ, მივიღოთ (დავიმარხოთ) და აღვასრულოთ ღვთის სიტყვა.**

3 ბემისი პ., კანონიკური სამართალი, თბ., 2007 წ., გვ. 10

4 [www.orthodoxy.ru](http://www.orthodoxy.ru) /Безплатний хостинг православных сайтов/



ძველი რომის, საბერძნეთის, ჩინეთის და ა.შ. ქვეყნების სამართლებრივი ძეგლების შესწავლამ და, საერთოდ, საზოგადოებათა ისტორიული განვითარების გამოცდილებით სარწმუნო ხდება მტკიცება, რომ ადამიანთა მიერ მიღებული კანონები არასოდეს არ იყო მოწოდებული სრულყოფისკენ და აუცილებელი იყო მუდმივად დახვეწილიყო საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ და განეცადა „სრულყოფა“, თუმცა უშედეგოდ, ის მაინც შესაცვლელი ხდებოდა და ხდება, რადგან კანონმდებლობას სრულყოფილებისთვის ჯერ კიდევ არ მიუღწევია, საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის მცდელობა დღესაც გრძელდება, თუმცა უშედეგოდ, მიუხედავად თითქმის ყოველდღიური საკანონმდებლო ცვლილებებისა.

ეკლესიის ავტორიტეტი მამები (სულმნათი წმიდანები) გვმოდრავენ, რომ ადამიანებმა უნდა გულისხმაჰყონ: როცა „კანონმდებლობს მამა-ღმერთი, ქვეყნად მოდის და გვესაუბრება ძე-ღმერთი, და როცა სულიწმიდა-ღმერთი დამკვიდრებულია ეკლესიაში და წინამძღოლობს (ზედამხედველობს), მაშინ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სრულიად სწორი და მართებულია უცდომელობა ეკლესიისა“<sup>1</sup> და, გამომდინარე აქედან, სჯულის კანონისა, რამეთუ ადამიანის არსებობის ისტორიამ აჩვენა მისი უცდომელობა დღემდე და ასე იქნება უკუნისამდე!

„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა, და საჯდომელსა უშჯულოთასა არა დაჯდა. არამედ, შჯულსა უფლისასა არს ნებაი მისი შჯულსა მისსა ზრახვან იგი დღე და ღამე“ (გს. 1, 1-2).

ეკლესიის სწავლებით: აქ პირველ რიგში უნდა ვიგულისხმოთ ის ფაქტი, რომ უღმრთოთაგან და ცოდვილთა გზიდან გამდგარი ადამიანი ჯილდოდ მიიღებს ბედნიერებას და კეთილდღეობას, ხოლო უშჯულოებს („ცოდვებში ჩადირულთ“, რომლებსაც სურვილიც არა აქვთ იქედან ამოსვლის) - სატანჯველი, ბოროტებისკენ მათი მუდმივი გადახრის გამო<sup>2</sup>.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მხოლოდ ადამიანში ვნახულობთ მისწრაფებას ბოროტისკენ... იგი თანდათან მიდის ბოროტების იდეის განხორციელებამდე, რაც გამოიხატება მისი ჩადენის მოთხოვნილობიდან. ბოროტება (ე.ი. ცოდვა და, შესაბამისად, დანაშაული) „იმდენადაა დაკავშირებული თავად ადამიანის ბუნებასთან, იმდენად თან ახლავს და მოიცავს ისტორიის ყველა ეპოქას, ადამიანთა ყველა თაობას, რომ ჩნდება კითხვა: რატომ სწყურია ადამიანს ბოროტების ჩადენა? რატომ ეძებს მას? მიმართავს ძალადობას, სხვა ადამიანის განადგურებას“<sup>3</sup> და ა.შ.

1 ზუმისი პ., კანონიკური სამართალი, თბ., 2006 წ., გვ. 11; წყაროდ გამოდგება, ასევე: `didi sjulis kanoni`, Tb., 2007 w.

2 [www.lopbible.narod.ru](http://www.lopbible.narod.ru) /Лопухин А., Толковая Библия или комментарий на все книги Св.Писания Ветхого и Нового Заветов, электронная версия/

3 ლოსკი ვ., დოგმატური ღვთისმეტყველება, თბ., 2007 წ., გვ., 82

ვინც ღმერთში ხედავს არა მხოლოდ შემოქმედს და გამგებელს, არამედ მხსნელსაც, განსაკუთრებულად გრძნობს და განიცდის ბოროტების გაძლიერებას, რადგან ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად მისი საზღვრები არათუ შეიზღუდა ან შემცირდა, არამედ პირიქით - უფრო გაიზარდა და გამრავლდა, შინაარსობრივად გართულდა, სულ უფრო დახვეწილი და შენიღბული გახდა, შესაბამისად, - ძლიერ საშიში! ცოდვით დაცემის, ბოროტების ჩადენის შემდეგ აუცილებლად ჩნდება წინააღმდეგობები, რომლებიც ადამიანურ ბუნებას ართმევს ღვთიური მაღლის სრულად მიღების უნარს<sup>4</sup>.

ადამიანის ცოდვის ტყვეობიდან თავდახსნის სისუსტის ახსნას ეძებენ მძიმე სოციალურ პირობებში, როგორცაა სილატაკე და მუდმივი გაჭირვება... ხშირი შიმშილობა და დაავადებები, სოციალურ ფენებს შორის შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაცია და სხვა ცნობილი პირობები, რომლებიც ცალკეულ ინდივიდებს თუ მოსახლეობის ნაწილებს შორის მუდმივად ქმნიან შინაგან გაღიაზიანებას, ე.წ. „გაბოროტებას“. ამასთან, ჯოჯოხეთის წყვილიადმი მოფიქრებული და ადამიანთა გულებში დაბუდებული შური ცდილობს განახორციელოს სურვილი - რაიმეთი „ავნოს“ მათ, ვისაც თითქოს უფრო უზრუნველი ცხოვრება აქვს და ყოველივე ეს აჩენს „ბოროტების ჩადენის“ იდეას ადამიანში. შესაბამისად, ცოდვებით დამძიმებული გული და გონება არ ფიქრობს იმაზე, რომ თითოეულს შეუძლია თვისი სული იხნას როგორც სიღარიბეში ისე სიმდიდრეში, რამეთუ სიღარიბე არაა კონკრეტული ცოდვის შედეგი (განსაკუთრებული შემთხვევების გარდა), ან კიდევ წყევლა და არც სიმდიდრეა, როგორც განსაკუთრებული წყალობა.... მთავარია ვეძებოთ სულიერი სიმშვიდე და შევძლოთ ეკლესიური „ცხოვრების წესით“ არსებობა, „რამეთუ უკეთურნი ადრე მოისრნენ..., ხოლო მშვიდრთა დაიმკვიდრონ ქუეყანა“ (36, 9-11).

„... უფალსა უყუარან მართალნი“ (გს. 145, 8). მოსე წინასწარმეტყველის ბაგეებით ეუწყა გაფრთხილება სამყაროს, რომ ადამიანო „გემინოდის შენ უფლისა ღმრთისა შენისა და დაიცვენ შენ მცნებანი და სამართალნი მისნი... და იყვნენ სიტყუანი ესე, რომელთა მე გამცნებ შენ დღესდღე გულსა შენსა და გონებასა შენსა. და ასწავლნე ეგენი შვილთა მათ შენთა და იტყოდი მათათ ჯდომასა სახლსა შინა შენსა და სლვასა გზასა შენსა და სასუენებელსა ზედა შენსა და აღდგომასა შენსა“ (2 რჯ. 6, 2-7) „და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხოვრებასა საუკუნესა“ (მთ. 24, 46; შედარ.: ინ. 5, 29), რამეთუ „ღმერთი რამდენადაც მოწყალეა, იმდენად სამართლიანიცაა. უსაზღვროა მისი მოწყალეობა და უსაზღვროა მისი მართმსაჯულებაც“<sup>5</sup>.

„ცოდვა მოვიძულე და მოვიძაგე, ხოლო შჯული შენი შევიყუარე“ (გს.118, 163; შედარ.: ეს. 32, 17 და რომ. 5, 1).

4 მათეს სახარების განმარტება წმ. მამათა სწავლების მიხედვით, თბ., 2006 წ., გვ. 284

5 წმ. ი. კრონშტანდელი, ქრისტიანული ფილოსოფია, თბ., 2003 წ., გვ. 39



სამყაროს შემომქმედმა ღმერთმა არაფრისგან გაგვაჩინა, მისგან მოგვეცა სჯული, მაცხოვრებელ კანონთა კრებული, შესაბამისად, ჩვენი ცხოვრების წესებიც უნდა იყოს დამოკიდებული მასზე.

პავლე მოციქულის სიტყვებით, რომ ვთქვათ: „... ვითარმედ შჯული უფლებს კაცსა ზედა, რაოდენ ჟამ ცოცხალ არს იგი“ (რომ. 7, 1). ცოდვით დაცემის გამო ადამიანთა შინაგანი მდგომარეობა არამდგრადი და მერყევი გახდა. როგორც ქარი წაიღებს თავისუფლად მტვერს, ან ბუმბულს, ისე ატარებს ბოროტება დამონებულ ადამიანს... მათ არ ესმით, რომ ისინი მაინც განისჯებიან, იცოდნენ თუ არა მათ სჯულის კანონი, „რამეთუ უწყის უფალმან გზად მართალთა და გზად უღმრთოთა წარწყმედეს“ (ფს. 1,6).

ყველა მორწმუნე, ვინც შინაგანად განიცდის ცოდვით დაცემას, განსაკუთრებით ბედნიერი ხდება მაშინ, როცა მას (ცოდვას) იგი ამარცხებს სინანულითა და წმიდა ზიარებით. შესაბამისად, როგორი ამაზრუნენი ხდება დამოკიდებულება ამ ქმედებების (უმოქმედების) მიმართ, რასაც ჩავდივართ მუდმივად, თუმცა ასევე ნაცნობია „საკუთარი თავის სიძულვილი“, სირცხვილის გრძნობა უფლის წინაშე, როცა განვიცდით სინდისის ქენჯნას და ვარდებით უსასოობაშიც, რამეთუ მეყსეულად გვებადება კითხვა: ავლდგები კი ცოდვისგან? მომიტევენ უფალი? რათქმა უნდა! რადგან ცოდვის ტყვეობიდან დახსნისთვის მიიღო ღმერთმა კაცობრივი ბუნება, საკუთარი თავი დასდო სამსხვერპლოზე და თივისი წმინდა სისხლით გამოისყიდა ცოდვის მონობისგან კაცობრიობა!

მაცხოვარი მოგვიწოდებს, რომ: „უკუეთუ ვსჯიდე მე, სასჯელი ჩემი ჭეშმარიტ არს“ (ინ. 8, 16) და „უკუეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით“ (ინ. 14, 15). ბიბლიის ცნობილ განმარტებელთა აზრით, აქ მაცხოვარი მოგვმართავს, როგორც ქვეყნიერების შემომქმედი, რომელიც მართავს და განიკითხავს მას მისივე კანონებით...<sup>1</sup> წმ. მაქსიმე აღმსარებლის სიტყვებით, რომ ვთქვათ: „... ვინც მცნებებს არ აღასრულებს, მას არ ძალუძს უფლის სიყვარული“<sup>2</sup> და ვინც უფლის სიყვარულისგან დაცლილია, იგი ადგება დაღუპვის გზას და შეიძლება მრავალიც გაიყოლოს.

„სიმათლეთ შენი სიმათლეთ არს უკუნისამდე და შჯული შენი - ჭეშმარიტ“ (ფს. 118, 142; შედარ.: ფს. 18, 10 და ინ. 17, 17). ვინც სიმათლით არ დადის ან „წაიქცა“ ამ გზაზე, მათ მიმართ გვაქვს ერთი ვალდებულება. მიეხუდავად, ჩადენილ დანაშაულში მხილებისა და ცნობისა, ჩვენ როგორც ქრისტიანები, ვალდებული ვართ მათზე ვილოცოთ, ვიზრუნოთ და შევძლოთ, რომ საზოგადოებისთვის ისინიც სრულფასოვანი წევრები გახდნენ მომავალში, რაშიც ეკლესია აშკარად უწყევს დახმარებას და თანადგომას მათ, რადგან „... თუკი

თქვენ ხედავთ, რომ რომელიმე თქვენი ძმობიდან ჩავარდნილია რაიმე მსგავს უსჯულოებაში და ეს თქვენ მიგაჩნიათ სხვის და არა საკუთარ განსაცდელად და ცდილობთ თავი გაიმართლოთ თქვენ მამხილებელთა წინაშე ასეთი სიტყვებით: რა ჩემი საქმეა ეს? რა მაქვს საერთო მასთან? - ეს სიტყვები სხვა არაფერია თუ არა გამოხატულება უკიდურესი საეშმაკო უღმრთელობისა და არაადამიანობისა!“<sup>3</sup>

„ნეტარ არიან, რომელთა დაიცვან სამართალი და ყონ სიმათლეთ ყოველსა ჟამსა“ (ფს. 105, 3), „... რამეთუ ღმერთი მსაჯულ არს“ (ფს. 49,7). ქრისტეს ეკლესიის ერთ-ერთი დიდი მნათობი და ჩვენი თანამედროვე წმ. იოანე კრონშტანდელი თითოეულს გვმოდვრავს, რომ უპირატესი სჯულისმდებელი არის ღმერთი და რომ „შენ ქმნილება ხარ, ღმერთი შენი შემქმნელი, მოქანდაკე, მხატვარია, რომელმაც შენი სული და სხეული წარმოქმნა; შენ მთლიანად მისი კეთილი, სამართლიანი, ყოვლადმღიერი, სრულყოფილი ძალაუფლების ქვეშ იმყოფები“<sup>4</sup>. ამ სიყვარულის გამო, როგორც მართალმა და მოწყალე მსაჯულმა, ქრისტე ღმერთმა დაიმდაბლა თავი და ადამიანად მოგვევლინა, რათა უშუალოდ, პირდაპირ ესწავლებინა გადარჩენის გზა, რომელსაც რწმენა და სჯულის აღსრულება დაუდო სათავედ. „... ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდვა არს“ (რომ. 14, 23; შედარ.: ტიტ. 1, 14; 1ტიმ. 1, 4 და სხვ.). ჩვენც მუდმივად არჩევანის წინაშე ვდგავართ: თავისუფლება, თუ ცოდვის საბოლოო ტყვეობა.

„ცოდვა მოვიძულე და მოვიძაგე, ხოლო შჯული შენი შევიყუარე“ (ფს. 118, 163). ურთიერთობებში ხშირად გვსმენია ბევრნაირი გამოთქმები ამ ცხოვრებაში პატიოსანი კაცის გაჭირვების და ცოდვილთა ბედნიერების შესახებ, რაც საბოლოოდ მიდის ერთ აზრამდე - „ღმერთს რომ არ დაეშვა ცოდვა, მე მას არ ჩავიდენდი“.

რა მკრეხელობაა! ნუთუ ვერ გულისხმასკყოფენ, რომ „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შურებიან მაშენებელნი მისნი; არა თუმცა უფალმან დაიცვა ქალაქი, ცუდად იღვძებენ მკუმილნი მისნი“ (ფს. 126, 1), რამეთუ ღმერთს არ შეუძლია იყოს „ცოდვის წყარო“, მაშინაც კი როცა მან თავი დაიმდაბლა და ჩვენნაირი გახდა, ჩვენდა მსგავსი - გამოსცადა რა თავის თავზე ყოველივე ადამიანური მწუხარება, ტკივილი და ტანჯვა, „... გამოცდილი ყოვლითავე მსგავსებითა, თვნიერ ცოდვისა“ (ებრ. 4, 15), რადგან „მართალ არს უფალი ყოველთა შინა გზათა მისთა და წმიდა არს იგი ყოველთა შინა საქმეთა მისთა“ (ფს. 144, 17).

ცოდვის წარმოშობის ისტორიის საეკლესიო სწავლება დამოკიდებულია რიგ პირობებზე:

ღმერთს ცოდვა არ შეუქმნია, რამეთუ წერია, რომ „იხილა ღმერთმა ყოველივე რაც შექმნა, და ძალზე კარგი იყო...“ (დაბ. 1. 31) და „ნუვინ განცდილთაგანი იტყვნ, ვითარმედ ღმრთისა მიერ განვიცადები, რამეთუ

1 [www.lopbible.narod.ru](http://www.lopbible.narod.ru) /Лопухин А., Толковая Библия или комментарий на все книги Св.Писания Ветхого и Нового Заветов, электронная версия/

2 სწავლა-მოდერებანი ჭეშმარიტ სიყვარულზე, ქ., 2000 წ., გვ. 47

3 წმ. ი. ოქროპირი. პირველი სიტყვა იუდეველთა წინააღმდეგ /www.kvirike.ge/

4 წმ. ი. კრონშტანდელი, ქრისტიანული ფილოსოფია, თბ., 2003 წ., გვ. 60

ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი (იაკ. 1, 13; შედარ.: ფს. 110, 3 და 5, 4; ზირ. 39, 21; დაბ. 6, 6; ფს. 77, 56 და ა.შ.), პირიქით - უფალი ხდება მრისხანე და, შესაბამისად, ცოდვილთა სამართლიანად დამსჯელი (შედარ.: ინ. 3, 36; რომ. 1, 18; იგავ. 6, 16-19; დაბ. 3, 15-19; 2 პეტრ. 2, 1-3; ფს. 88, 33 და ა.შ.).

2. პირველად სცოდა ეშმაკმა, რამეთუ მოციქულის სიტყვებით: „რომელმან ქმნეს ცოდვა, იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამითგან ეშმაკი ცოდავს. ამისთვის გამოცხადნა ძე ღმრთისა, რათა დაარღვინეს საქმენი ეშმაკისანი“ (1 ინ. 3, 8; შედარ.: ინ. 8, 44; 2 პეტრ. 2, 4; იუდ. 1, 6 და სხვ.)

3. პირველქმნილი ცოდვა, ანუ ადამისა და ევას მიერ პირველი შეცოდება (დაბ. 3, 1-7), რამეთუ დაირღვა მათ მიერ ღმრთისგან მიცემული ერთად-ერთი მცნება (დაბ. 2, 16-17)

4. პირველქმნილი ცოდვა მემკვიდრეობით გადმოვიდა ყველა ადამიანზე (peccatum originale), „ამისთვის, ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათვის ცოდვამ სოფლად შემოკდა და ცოდვისა ძლით - სიკუდილი“ (რომ. 5, 12-19; შედარ.: დაბ. 3, 15; შედარ.: დაბ. 14, 18 და 22, 9; ზაქ. 6, 13 და 12, 10; ფს. 111, 1-4, 22, 4; 70, 4 და სხვ.)

ეკლესიის სწავლებიდან გამომდინარე:

- **ბოროტება** არ არსებობს, როგორც განსაკუთრებული „არსება“, მისი არსი მხოლოდ ღვთისგან მოწყვეტაშია, ხოლო ჩადენა „თავისუფალი ნების“ აქტის შედეგია; იგი პირველად ზევამში, ანგელოზთა სამყაროში „გაჩნდა“ და შემდეგ მიწაზე გადმოვიდა და ადამიანებში ბოროტი სულების ცდუნების შედეგი გახდა; მისი შემეცნების გზები კი არ დახშო ადამიანებისთვის უფალმა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დაფარა ისინი; მის გამო შეიცვალა ადამიანის ბუნება, იგი დასუსტდა, შეუმცირდა წინააღმდეგობის გაწევის უნარი და იქცა საცდურისადმი მიდრეკილად.<sup>1</sup>

- **ცოდვა** ანადგურებს ადამიანის სულს და მისი თანამგზავრი გახდა (შედარ.: დაბ. 6, 5 და 8, 21; იერ. 17, 9; მთ. 16, 18-20 და ა.შ.). შესაბამისად, ადამიანს არ შეუძლია გამოისყიდოს მისი ცოდვა, ან დანაშაული (ბოროტება), გარდა ღვთის მცნებების, სჯულის კანონის დაცვისა და სრული სინანულის გარეშე (შედარ.: ფს. 48, 8 და 50, 19; მთ. 16, 27; მრკ. 8, 37).

**ბოროტებისაკენ** ლტოლვას იწვევს შემდეგი პირობები:

- **ბოროტებისკენ შინაგანი ლტოლვა** (მაგრამ არა მუდმივი!), რომელიც გამომდინარეობს ადამიანის ცოდვილი ბუნებიდან და შესაძლებელია მისი დამარცხება (უკიდურეს შემთხვევაში ამ ქმედების, ან უმოქმედობის გადაწევა დროში, რაც შეიძლება ხანგრძლივად); შესაძინავე მაგალითია თავდამბლობით ნათქვამი პავლე მოციქულის აღსარება: „რომელი-იგი მე არა მნებავს და მას ვჰყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკვდრებულ არს ჩემ თანა ცოდვად“ (რომ. 7, 20);

1 ზენკოვსკი ვ., აპოლეგეტიკა, ქრისტიანული სარწმუნეობა და თანამედროვე ცოდნა, თბ., 2005 წ., გვ. 114-116

- **ბოროტებისკენ მთლიანი გადახრა და მუდმივი ლტოლვა**, ანუ ბოროტების „შინაგანი განსხმობა“ (ცნობილი ფრაზა: „ბოროტება აქვს გამძვადარი“, ანუ ის ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს ბოროტების ჩამდენი). ე.ი. მისკენ სრული მიდრეკილება, იქნება ეს ენდოგენური თუ ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით (ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანი საკუთარი ნებით მიდის საღმრთო სწავლების წინააღმდეგ, ამხედრებს თავის თავსაც და სხვასაც სჯულის აღსრულების წინააღმდეგ და შეიძლება აღფრთოვანდეს კიდევ ბოროტების პროპაგანდით).

ამდენად, **ცოდვა**<sup>2</sup> სიკეთისგან დაცილებაა, ხოლო **უსჯულოება** - სჯულის კანონის დარღვევა. წმიდა წერილში სიტყვა „ცოდვის“ არსებობს რამდენიმე სინონიმი:

- **„უსჯულოება“** - „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნეს უსჯულოებანი და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი. ნეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხოს უფალმან ცოდვა, არცა არს პირსა მისსა ზაკუა...“ (ფს. 35, 1-2; შედარ.: 1 ინ. 3, 4; დაბ. 6, 5 და სხვ.)

- **„განდგომა“** - ესაა ღმრთის მიმართ წინააღმდეგობაში ყოფნა: „... უკუეთუ განდგომით ვცოდეთ წინაშე უფლისა, ნუ გვიხსნინ ჩუენ დღესა ამას შინა“ (ისო. 22, 22; შედარ.: დაბ. 8, 21)

- **„გახრწნილობა“** - ამ შემთხვევაში იგი უნდა გავიგოთ, როგორც, ამორალური ცხოვრების წესი. იგი გვხვდება როგორც: „... თქუა უფალმან ღმერთმან: დალადება სოდომთა და გომორთა განმრავლდა ჩემდა მომართ, ცოდვანი მათნი დიდ არიან ფრიად. გარდავიდე უკუე, ვიხილო, უკუეთუ დალადებისაებრ მათისა მომავლისა იქცევიან, და, უკუეთუ არა, რათა ვცნა“ (დაბ. 18, 20-21)

- **„უსამართლობა“** - იგი მრავალ ადგილას გვხვდება ბიბლიაში, როგორცაა: „განვიხილნე კუერთხითა უსჯულოებანი მათნი და გუემითა უსამართლობანი მათნი“ (ფს. 88, 33), ან „უკუეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს და მართალ, რადთა მოგტევნეს ჩუენ ცოდვანი ჩუენნი და განგუწმიდნეს ყოვლისაგან სიცრუისა (1 ინ. 1, 9; შედარ.: დაბ. 19, 8 და 28, 13; 2 მეფ. 12, 13; ფს. 31, 5 და სხვ.)

- **„უსჯულოება და ბოროტება“** - მაგალითად, „... იხილა რად უფალმან ღმერთმან, ვითარმედ განმრავლდეს უსჯულოებანი კაცთანი ქუეყანასა ზედა. და ყოველი ვინ გონებს გულსა შინა თვისსა მოსწრაფებით ბოროტთა ყოველთა დღეთა“ (დაბ. 6, 5. შედარ.: მთ. 15, 19 და მარკ. 7, 21 და სხვ.)

- **„წმინდურობა“** - საქციელი, ქმედება (აუმოქმედება): „და ლხინება-ყოს წმიდათათვის არაწმიდებათათვის ძეთა ისრაელისათა და სიცრუეთაგან მათთა და ყოველთათვის ცოდვათა მათთა და ესრეთ უყოს კარავსა მას საწამე-“

2 ებრაულად - חַטָּא - chatta'ah, ან chatta'th (khat-tawth'). იგი წარმოიშვა სიტყვა chata-დან (khaw-taw'), რაც ნიშნავს აცდენას, გადატანითი მნიშვნელობით: ცოდვის ჩადენას, ასევე - ბერძნული სიტყვის - hamartia-გან (თავის მხრივ, წარმოიშვა სიტყვა hamartano-სგან, რომელიც ნიშნავს მიზანში აცდენას) და გადატანითი მნიშვნელობით გაიგება როგორც შეცდომის დაშვება.



ბელისასა შწნებულსა მას შორის შინაგან კარავსა მას საწამებელისასა არაწმიდებისაგან მათის“ (ლევ. 16, 16; შედარ.: ებრ. 9, 2)

- **შეცოდება** - უმეტეს შემთხვევაში: გულისთქმით, ან „შეცოდებანი ვინმე გულისწმა-ყუნეს? საიდუმლოთა ჩემთაგან განმწმიდე მე“ (ფს. 18, 13; შედარ.: ლევ. 4, 2)

მართლმადიდებლური სწავლებით **ცოდვის** სახეობა:

1. **პირველქმნილი** ცოდვა, რომელიც ადამის და ევას მიერ იქნა პირველად ჩადენილი (დაბ. 3, 1-6; შედარ.: სიბრ. 2, 24; ინ. 8, 44; 2 კორ. 11, 3; 1 ტიმ. 2, 14; ზირ. 25, 27 და სხვ.);

2. **ჩვენში მყოფი** ცოდვა, ანუ ის, რომელიც დამკვიდრდა ჩვენში. „აჲ უკუე არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკვიდრებულ არს ჩემ თანა ცოდვად... რამეთუ არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ. 20. ხოლო უკუეთუ, რომელი-იგი მე არა მნებავს და მას ვჰყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკვიდრებულ არს ჩემ თანა ცოდვად“ (რომ. 7, 17-20), ე.ი. რომელიც გადმოვიდა მემკვიდრეობით პირველქმნილი ადამიანისგან - ადამისგან (შედარ.: ფს. 50, 7; 57, 4 და ა.შ.);

3. **ყოველდღიური** ცოდვა, ანუ „უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ზიარებამ გუაქუს მის თანა და ჩუენ ბნელსა შინა ვიდოდით, ვტყუით და არა ვიქმთ ჭემმარიტებასა.... უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ცოდვად არა გუაქუს, თავთა თვსთა ვაცთუნებთ და ჭემმარიტებად არა არს ჩუენ თანა... უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ არა ვცოდეთ, მტყუვრად გამოვჩინებთ მას და სიტყუად მისი არა არს ჩუენ შორის“ (1 ინ. 1, 6-10; შედარ.: ფს. 52, 4), ე.ი. არავინაა ისეთი, ვისაც არ შეუცოდია, ე.ი. დარღვეული არ აქვს ღვთის მცნებები და, შესაბამისად, სჯულის კანონი;

4. **სასიკვდილო** (მიუტევებელი) ცოდვა, რომლის მიხედვით იგმობა **სულიწმიდა**, როგორც **ღმერთი** („...ყოველი ცოდვად და გმობად მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობად არა მიეტეოს კაცთა.“ (მთ. 12, 31); ასევე, თვითმკვლელები (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა) და საეკლესიო გარდამოცემებით: **ღმრთისმშობლის მარადის ქალწულობის** გმობა, **სულიციდი**<sup>1</sup> და სხვ.

5. **არასასიკვდილო** ცოდვა, ანუ ის ცოდვა, რომელიც სინანულის შემდეგ შეიძლება მიეტეოს ადამიანს: „უკუეთუ ვინმე იხილოს ძმა თვისი, რომელი ცოდვიდეს ცოდვასა არა სასიკუდინესა, ითხოვოს და მოსცეს მას ცხორება, რომელნი-იგი ცოდვიდენ არა სასიკუდინედ; არს ცოდვა სასიკუდინე, არა მისთვის ვიტყვი, რათა ითხოოს“ (1 ინ. 5, 16; შედარ.: მთ. 12, 31; ებრ. 1, 3; რიცხ. 15, 30; 1 მეფ. 2, 25; იერ. 5, 1 და 7, 16; ლკ. 12, 10 და ა.შ.).

**ცოდვით** დაცემის შედეგი არის **ფიზიკური სიკვდილი**<sup>2</sup> (გარდაცვალება. შესაბამისად, ცოდვით დაცემის გამო შემცირდა ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა (შედარ.: დაბ. 6, 3; ფს. 89, 10 და სხვ. შედეგად, განჩნდა დაავადებები, მოიმატა უბედურმა შემთხვევებმა და სტიქიურმა უბედურებებმა და ა.შ.) და **სულიერი სიკვ-**

As for impacts of fiscal institutions, Greece does not have national fiscal rules. The country only follows supranational rules – BBR and DR according to the Maastricht Criteria (1992) and euro area (2001). Based on the evaluation of IMF Working Paper (Kinda, Kolerus, Muthoora and Weber, 2013) a number of institutional reforms are underway. Moreover, under the “fiscal compact”, the government commits to adopt a structural budget balance rule according to which the deficit should not exceed 0.5 percent of GDP. Besides that, the country will adopt automatic correction mechanism in its constitution or equivalent legislation. As for fiscal councils, they do not operate in Greece according to the Working Paper of IMF (Debrun, Kinda, Curristine, Eyraud, Harris, Seiwald, 2013). To conclude, an example of Greece confirms that the relationship between fiscal indiscipline and bond yields is strictly positive. Additionally, as the country has neither national fiscal rules nor fiscal councils the positive effects of fiscal indebtedness is not balanced by expected negative effects of these fiscal institutions. As a result an increase in fiscal indebtedness has direct positive reflections of on long-run interest rates.

On the contrary, Germany presents the case where public indebtedness is characterized by stable level. Although, the remarkable increase had place in 2009 by 7,7 and in 2010 by 8 percentage points, both cases were caused by the financial crisis. However, since 2011 the government debt started decreasing. That is why investors did not have a reason to lose any kind of reliability towards the country. The process was finally reflected in the decreasing trend of bond yields. Additionally, based on evaluation of IMF, Germany is the country out of 5 countries which has adopted national fiscal rules on the constitutional level. Precisely, BBR operates on the constitutional level which ensures the highest strength and quality of the rule. Additionally, country has national ER on political commitment level. As for fiscal rules, German Council of Economic Experts functions in the country since 1963. It ensures the implementation of existing fiscal rules. To conclude, Germany presents an excellent

example on the one hand enlightening that the fiscal discipline ensures decreasing trend in interest rates and on the other hand the case exhibits that strong fiscal rules and functioning of fiscal councils have negative impacts on sovereign bond yields.


In line with considering industrialized countries, we would like to review the case of Japan because of its exceptional characteristics. First we should notice that this case presents an interesting example as Japan’s fiscal deficit is considerably high. In 2012 public debt to GDP ratio reached 212 %.

Figure 3.  
Government Debt to GDP Ratio of Japan (presented in percentages)<sup>1</sup>.



Hence, we should predict substantial increase in yields, whereas actual yields still remain the lowest among advanced economy countries. According to the latest statistics, in 2013 the bond yields encountered only 0,72 %. Such a small figure states that the country apparently enjoys the lowest cost of indebtedness while already possessing high amount of government debt.

Figure 4.  
Government Bond Yields of Japan <sup>2</sup>.



To explain this phenomenon, we tried to elaborate this issue with connection to fiscal institutions. First of all, we should notice, that compared to other countries Japan has long history of fiscal rules dating back to 1947(Sugimoto and Ueda, 2013). However, according to IMF evaluation, ER operates based on political commitment and BBR on the statutory basis and finally their coverage is evaluated on the central government level. It is remarkable, that PAYGO, The Fiscal Management Strategy introduced in 2010, is not described in the dataset. Actually, it is a pay-as-you go rule, implying that any measure that involves increases in expenditure or decreases in revenue needs to be compensated by permanent reductions in expenditures or permanent revenue-raising measures. However, as PAYGO does not set numerical limits on large budgetary aggregates it is not considered as provider of procedural rules and thus finally it is missed in the dataset. As for fiscal councils, they are presented by the Japan Fiscal System Council, operating since 1950. However, the impacts of this system are not strong as the strategy and policy determined by it is not stable and is changed frequently. Thus, because the country often modifies and reforms rules without any sanctions fiscal institutes cannot be considered as the main explanatory factor of bond yield tendencies in Japan.

1 Source: Trading Economic - <http://www.tradingeconomics.com/japan/government-debt-to-gdp>.

2 Source: Eurostat-<http://epp.eurostat.ec.europa.eu/tgm/table.do?tab=table&init=1&language=en&pcode=tsdde410&plugin=1>.

For further elaboration, we may review statements of Gruber and Kamin (2010) while examining fiscal processes in Japan, analyzing that issuance of Japanese government debt does not boost required yields. They explain this phenomenon by the home bias of Japanese investors and the entrenched nature.

Thus, we see that countries might differ importantly from each other by special economic conditions which cause further complications of possible explanations of the issue at hand.

**Developing Countries**


To present the more complete picture of fiscal imbalances, fiscal institutions and their impacts on sovereign bond yields we would like to review the conditions in developing countries as well.

The feasibility of the topic can be the current absence of relevant data for all developing countries. We should clarify that we do not have problems with collecting data, but we have problems with availability of the necessary data. Unfortunately, some developing countries still do not have well formed fiscal rules in order to evaluate their quality. Yet, we should state, that countries are more likely to provide legislative framework in this direction especially after the financial crisis. So in the nearest future we may expect to increase the number of emerging countries that will provide relevant data for the research. Currently, as we checked in IMF dataset, there are 47 developing countries which have at least one type of fiscal rules<sup>1</sup>.

Based on the intuition stated in case of developed countries, we may expect to keep positive dependence between fiscal imbalances and bond yields. However, as we refer to developing countries we should take into our account the growth and the amount of real GDP. The reason is that generally a growth rate may be considerably high because of a very low initial level of GDP, while despite the high growth rate the GDP itself may still remain small in comparison with developed countries. So we should take into consideration that despite the fact that several countries have high GDP growth rates they are still characterized with small real GDP or small GDP per capita in case of highly populated countries (for example India). It means that facing low level of real GDP level, investors consider a country to be economically weak which is associated to higher risks of government default. Thus, the impact of the deterioration of fiscal deficit should have much stronger impacts on sovereign bonds than it may have in any developed countries. However, we cannot state this intuition until we examine the concrete example of a developing country. So we would like to bring an example of Georgia. The Figure 5 and the Figure 6 present the dynamics of the government debt and 10 year interest rates on sovereign bonds respectively.


**Figure 5.**

**Government Debt to GDP Ratio of Georgia, (presented in percentages)<sup>2</sup>.**



**Figure 6.**

**10 Year Interest Rates on Sovereign Bonds of Georgia, (presented in percentages)<sup>3</sup>.**



1 See the full list in Appendix.

2 Source: Ministry of Finance of Georgia - <http://mof.ge/DebtFinance>.

3 Source: Ministry of Finance of Georgia - <http://mof.ge/DebtFinance>.



We might notice that while public debt was increased in the last years, long-run interest rates are more or less stable in the last 4 years. Why do not we have strong correlation between fiscal imbalances and bond yields? We may consider two cases. First, interest rates are enough high in comparison with developed countries, so as the initial base is already high the further increases cannot be impressive. To illustrate our statement let us compare interest rates in Georgia and in Japan in the period of 2012-2013. In case of Georgia, the least figure is 10, 1 % while in case of Japan the latest figure reaches only 0,72 %<sup>1</sup>.

However, what is more important, that is the nature of fiscal policy in developing countries. In order to identify the characteristics of fiscal policies in third world countries, we have elaborated one of the most interesting papers on this topic prepared by Ethan Ilzetzki and Carlos A. Vegh (2008). They use econometric tools: instrumental variables, simultaneous equations and time-series methods to examine dataset for 49 countries in the period of 1960-2006. They conclude that the fiscal policy is indeed pro-cyclical in developing countries. In order to clarify, pro-cyclical character means that developing countries follow fiscal policy which may even exacerbate the business cycle. Authors facing that kind of paradox find answers in two directions; first, because of imperfections in international credit markets developing countries have very limited possibilities to borrow in bad times and second, political economy mostly follows the idea that good times encourage fiscal activities, in other words the causality goes from the business cycle to fiscal policy. Furthermore, we investigated the issue by reviewing IMF report (Fiscal Affairs Department of IMF, 2009) finding out that mostly, emerging and developing countries are facing several constraints during crisis especially if they follow IMF arrangements. As a result, IMF fiscal affairs department concludes that countries both with and without arrangements are somehow constrained, yet countries with IMF arrangements are, on average, faced more binding constraints than countries without arrangements or countries with flexible credit line arrangements. So, we may expect that in emerging and developing countries there are other factors like the nature of fiscal policy and the constraints caused by imperfections of international credit market together with IMF arrangements which overall pose several further constraints for borrowing during economic downward. To conclude, developing countries might borrow in good times when investors' reliability is higher and thus the default risk is lower. That is why we can report, that the increase in fiscal indebtedness does not have as strong influence on bond yields as in case of industrialized countries.

As for fiscal institutions, Georgia is a typical developing country underlining once more that generally developing countries do not have systematically formed fiscal rules, thus it is definitely not possible to analyse their quality and strength. According to the dataset presented in the paper of Kinda, Kolerus, Muthoora and Weber (2013) fiscal rules are not presented in the Georgian legislative framework at all so we don't have negative impact generator institutions on bond yields. However, based on the Policy Paper of IMF (2013) Georgia Parliamentary Budget Office established in 1997 is named as the fiscal council in the country. Yet, as the country still faces the higher interest rates, it is obvious that an absence of fiscal rules does not enable fiscal council to work effectively. As a result, Parliamentary Budget Office does not have enough influence to cause the decrease in bonds yields. Hence, we might conclude that fiscal rules are the main impact generators and fiscal councils serve to strengthen their impacts. Thus, once more, on an example of a developing country we see that the simultaneous establishment of fiscal rules and fiscal councils might yield the higher and stronger impacts than in case they are not established or only one of them is introduced in the country.

## CONCLUSIONS

Finally, we would like to state that for both developed and developing countries fiscal imbalances are characterized by the positive correlation with interest rates of sovereign bonds. However in developing countries, because of pro-cyclical fiscal policy, no access to the international credit market together with IMF arrangements and constraints that developing countries face, deterioration of fiscal indebtedness does not have as strong impacts on sovereign bond yields as in case of industrialized countries. As for fiscal rules, for both developed as well as developing countries, we found the strong negative influence: the stronger the fiscal rules are the lower interest rates the government face. Furthermore we analyzed the functions and effectiveness of fiscal councils and concluded that in case of simultaneous establishment of fiscal rules and fiscal councils, the country can achieve more considerable decrease in the cost of indebtedness.

<sup>1</sup> See the Figure 4 and Figure 6.

**REFERENCES**

1. Akitoby, B., & Stratmann, T. (2006). Fiscal Policy and Financial Markets. IMF Working Paper, 16.
2. Brzozowski, M., & Siwinska-Gorzela, J. (2013). Fiscal Imbalances, Fiscal Rules and Sovereign Bond Yields. Journal Ekonomista, 5, 669-680.
3. Budina, N., Kinda, T., Schaechter, A., & Weber, A. (2012) Fiscal Rules at a Glance: Country Details from a New Dataset. IMF Working Paper, 273.
4. Budina, N., Kinda, T., Schaechter, A., & Weber, A. (2012). Fiscal Rules in Response to the Crisis -Toward the “Next-Generation” Rules. A New Dataset. IMF Working Paper, 187.
5. Debrun, X., Kinda, T., Curristine, T., Eyraud, L., Harris, J., Seiwald, J. (2013). The Functions and Impacts of Fiscal Councils. IMF Policy Paper.
6. Debrun, X., & Kumar, M. (2007). The Discipline-Enhancing Role of Fiscal Institutions: Theory and Empirical Evidence. IMF Working Paper, 171.
7. Faini, R. (2006). Fiscal Policy and Interest Rates in Europe. Journal Economic Policy, 21, 47-63.
8. Fiscal Affairs Department of IMF. (2009). The State of Public Finances Cross-Country Fiscal Monitor. IMF Working Paper, 25.
9. Gale, W., & Orszag, P. (2003). The Economic Effects of Long-Term Fiscal Discipline. The Urban– Brookings Tax Policy Center, Discussion Paper, 8.
10. Gruber, J., & Kamin, S. (2010). Fiscal Positions and Government Bond Yields in OECD Countries. International Finance Discussion Papers, 1011.
11. Halberg, M., & Wolff, G. (2008). Fiscal Institutions, Fiscal Policy and Sovereign Risk Premia. Journal Public Choice, 134, 3-4.
12. Ilzetzki, E., & Vegh, C. (2008). Procyclical Fiscal Policy in Developing Countries. NBER Working Papers, 14191.
13. Kinda, T., Kolerus, C., Muthoora, P., and Weber, A., (2013) Fiscal Rules at a Glance. IMF Working Paper, update of WP, 273.
14. Poterba, J., & Rueben, K. (2001). Fiscal News, State Budget Rules, and Tax-Exempt Bond Yields. Journal Urban Economics, 50.
15. Sugimoto, K., & Ueda, J. (2013). Challenges for Japan’s Fiscal Consolidation. Public Policy Review, vol.9, No 4, (pp. 717-734). Policy Research Institute, Ministry of Finance of Japan.

**Appendix**

**The list of developing countries possessing at least one type of fiscal Rules.**

**Source: IMF, 2013.**

• Argentina	• Ecuador	• Nigeria
• Armenia	• Equatorial Guinea	• Norway
• Benin	• Gabon	• Pakistan
• Botswana	• Grenada	• Panama
• Brazil	• Guinea-Bissau	• Peru
• Bulgaria	• India	• Poland
• Burkina Faso	• Indonesia	• Romania
• Cameroon	• Jamaica	• Russia
• Cape Verde	• Kenya	• Senegal
• Central African Republic	• Kosovo	• Serbia
• Chad	• Mali	• Sri Lanka
• Chile	• Mauritius	• St. Kitts and Nevis
• Colombia	• Mexico	• St. Lucia
• Congo, Republic of	• Namibia	• St. Vincent and the Grenadines
• Costa Rica	• Niger	• Togo
• Cote d'Ivoire	• Dominica	

## საბიუჯეტო დისბალანსისა და ფისკალური მუქანობის ზემოქმედება სუვერენული ობლიგაციების შემოსავლიანობაზე

იაშა (იაკობ) მესხია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო  
ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი

თინათინ ახვლედიანი

ვარშავის უნივერსიტეტის საერთაშორისო  
ეკონომიკის პროგრამის მაგისტრანტი

### რეზიუმე

სტატიაში გამოკვლეულია სუვერენული ობლიგაციების შემოსავლიანობაზე ფისკალური დისბალანსისა და ფინანსური მუქანობების ზემოქმედების საკითხები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი ფისკალური წესების (ჩარჩო პირობები-შეზღუდვები ბიუჯეტის დეფიციტზე, ვალების მოცულობაზე და მათი მომსახურების ხარჯებზე) და ფისკალური საბჭოების (საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის, რეკომენდაციების, მაკროეკონომიკური პროგნოზების შემმუშავებელი დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტები) ეფექტურობის შესახებ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების გრძელვადიანი სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის ფორმირების თავისებურებები. კვლევამ გვიჩვენა, რომ იმ დროს, როდესაც ფისკალური დისბალანსის შედეგად სუვერენული ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები დადებითი კორელაციით სახიათდება, ფისკალური შეთანხმებების ძალისა და ხარისხის დონეს, ფისკალური წესების გათვალისწინებით, უარყოფითი ზემოქმედება აქვს. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ფისკალური დისბალანსი ხასიათდება სუვერენული ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთების დადებითი კორელაციით. თუმცა, განვითარებადი ქვეყნებში, პროციკლური ფისკალური პოლიტიკის, საერთაშორისო საკრედიტო ბაზარებზე და სსფ-ს შეთანხმებებზე ხელმეორედომლობისა და სხვა ენდოგენური შეზღუდვების გამო ფისკალური დავალიანების გაუარესებას არ აქვს ისეთი ძლიერი ზემოქმედება სუვერენული ობლიგაციების შემოსავლიანობაზე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში. რაც შეეხება ფისკალურ წესებს, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებადი ქვეყნებში იგი ძლიერი ნეგატიური გავლენით ხასიათდება: რაც უფრო ძლიერია ფისკალური წესები, მით უფრო დაბალია საპროცენტო განაკვეთები. ნაშრომში გაანალიზებულია აგრეთვე ფისკალური საბჭოების ფუნქციები და ეფექტურობა და გაკეთებულია დავასკვნა, რომ ფისკალური წესებისა და ფინანსური ინსტიტუტების ერთობლივად, შეთანხმებულად მოქმედების დროს, ქვეყანას შეუძლია მიაღწიოს ფინანსური დავალიანების ბევრად უფრო მნიშვნელოვან შემცირებას.

საქართველოში, ისევე როგორც მრავალ განვითარებადი ქვეყანაში, დამოკიდებულება ფისკალურ დისბალანსსა და სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობას შორის სპეციფიკურია. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის დაბალი დონის გამო, ინვესტორები საქართველოს სუსტად განვითარებულ და დეფოლტის მაღალ რისკიან ქვეყანად მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე თვლიან, რომ ბიუჯეტის დეფიციტის გამწვავებამ შეიძლება ძლიერი ნეგატიური გავლენა მოახდინოს სუვერენული ობლიგაციებზე, ვიდრე ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში. ფაქტობრივად უკანასკნელ წლებში საქართველოს სახელმწიფო ვალის ზრდას თანახლდა მეტ-ნაკლებად სტაბილური მაღალი საპროცენტო განაკვეთები და არამდგრადი ფისკალური წესები. შესაბამისად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, როგორც ფისკალური საბჭოს ფუნქციების შემსრულებელი, საკმარის ზემოქმედებას ვერ ახდენს სუვერენული ობლიგაციების შემოსავლიანობის კლებაზე და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე.



# სინერგია სოფლის მეურნეობაში

ზუკვნიტ ქართული სოფლის დიდ მოამაგეს მის უწმიდესობასა და უნეტარესობას ილია მეორეს

ჩვენ სული უნდა ვყოთ ტაძრად, გული კი, –სანთლად წინაშე ღვთისა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“. ჭეშმარიტების გზა სინერგიაა, ანუ უფლის და ადამიანის ნების გაერთიანება.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე



სინერგია ბერძნული სიტყვაა და თანამშრომლობას, ხელის შეწყობას ნიშნავს; ეკონომიკაში კი ის დამკვიდრდა იმ მოვლენის აღსანიშნავად, რომლის დროსაც სხვადასხვა ბიზნეს-ფაქტორის გაერთიანების შემთხვევაში მიიღება უფრო მეტი ეფექტი, ვიდრე ამ ფაქტორების ცალ-ცალკე გამოყენების შემთხვევაში.

თანამედროვე გაგებით, ადამიანის სინერგიის მდგომარეობაში ყოფნას განაპირობებს მისი შემოქმედებითი უნარი, ანუ ის, რითაც ადამის მოდგმა ყველაზე მეტად ემსგავსება ღმერთს.

როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ეკონომიკაში სინერგიის გენერირება შესაძლებელი გახდა მეოცე საუკუნის მიწურულს და მისი საფუძველი მშრომელთა თავისუფლების, განათლების, პროფესიონალიზმის, მოტივირების ზრდა იყო. თუმცა, ჩვენი აზრით, აქ გათვალისწინებული არ არის უპირველესი ადამიანური საქმიანობა – სოფლის მეურნეობა, სადაც დასაბამიდან ჰქონდა ადგილი სინერგიას.

სინერგიის საფუძველია ცხოვრების მარადიულ ფასეულობებზე დამკვიდრების პროცესი, რომელსაც მატერიალური, ხილული განმაპირობებელი არ გააჩნია უფლის შემოქმედება არის მისი აბსოლუტური ნების გამოვლინება – არაფრისგან ყოველივეს შექმნა. უფალმა ადამიანი თავის ხატად და სახებად შექმნა, შესაბამისად, მას შემოქმედების ანუ სინერგიაში მონაწილეობის უნარიც მიანიჭა. ოღონდ, ადამიანის ეს უნარი მხოლოდ ღმერთთან თანამშრომლობაში ვლინდება, უფალთან თანამშრომლობა კი სამყაროს შემქმნელის წესებითაა ადამიანისთვის სასარგებლო. ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი უფალთან სინერგიის ყოველდღიურ დასტურს წარმოადგენს და დღეს მეცნიერება უზენაესის ამ საოცარ გამოვლინებებს სხვადასხვა სახელს – ფოტოსინთეზს, უჯრედულ ცვლას, განაყოფიერებას, დამტვერვას და ა.შ. არქმევს. მაგალითისთვის, მწე-

რების ღვანჯიკ კმარა, მათი მონაწილეობის გარეშე მცენარეული სამყაროს არსებობა წარმოუდგენელია, ამის ახსნა კი მხოლოდ ბუნებრივი გადარჩევის შედეგად ჩამოყალიბებული ინსტიქტით სიბრყევეა.

ბუნება საათივით აწყობილი მექანიზმია, რომლის შემოქმედი თავად სრულყოფილებაში იქნა იყოს მხოლოდ. „თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მინამ მცენარეული – ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, თესლოვანი ნაყოფის მომტანი მინაზე თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე“. „...თქვა ღმერთმა: აფუთფუთდეს წყალში სულდგმული; მინის ზემოთ კი, ცის მყარზე, ფრინველმა იფრინოს. და იქმნა ასე“. „...თქვა ღმერთმა: წარმოშვას მინამ ქვეყანამ სულდგმული თავთავისი გვარისდა მიხედვით – პირუტყვი, ქვემძრომი და მინის მხეცები თავთავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე“. აკურთხა ღმერთმა ისინი და თქვა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ ზღვები. ფრინველებმა იმრავლონ მინაზე. (დაბ.1, 11-20-24-28)

სოფლის მეურნეობა ადამიანის მიერ მინაზე და ცოცხალ სამყაროზე შემოქმედებაა, ხოლო, როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარეობს საოცარი, ღვთიური პროცესები. ჩგამომდინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობა ადამიანის თანამშრომლობა, თანამუშაულობაა უფალთან. ამ სფეროში საქმიანობის დროს ადამიანი მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში შემოქმედებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინაზე, მცენარეზე, ცხოველზე, პროცესების დიდი ნაწილი კი მისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. და ბოლოს ის იღებს იმაზე მეტს ვიდრე შრომა აქვს დახარჯული.

ბიბლიის მიხედვით, პირველი სოფლის მეურნე თავად უფალია, მეორე კი ადამი. „უფალმა ღმერთმა ბალი გააშენა ედემში, აღმოსავლეთში და დასვა იქ ადამი“ (დაბ.2,8) „აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მი-

№3 მაისი 2014

**აპარატი სექტორი**

ნიდან ყოველი ხე, სანახავად საამო და საჭმელად ვარგისი“ (დაბ.2,9) „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ.2,15).

ამდენად, მარტო საღებავად და საშვებლად არ დაასახლა ღმერთმა ადამი სამოთხეში, არამედ, აგრეთვე მის დასამუშავებლად და დამცველად. ამრიგად, ადამს უნდა ეშრომა სამოთხეში, მოეწყო მისთვის და დაეცვა გაფუჭებისა და აოხრებისგან. ეს საქმიანობა არ დაუშლიდა ადამს ნეტარებას, რადგან არ იყო მძიმე (მძიმეშრომა და ჯაფა ღმერთმა ადამს შეცოდების შემდეგ დაადო). უსაქმურობა მასში მოწყინებას გააჩენდა. ბუნებასთან სიახლოვე და შრომა კი საშუალებას მისცემდა შეესწავლა და შეეგნო შემოქმედის სიბრძნე და შეეყვარებინა იგი.<sup>1</sup>

ადამის ედემში შრომა უნდა ყოფილიყო ჰარმონიული და სინერგიის ეფექტის მატარებელი. ამდენად, შრომა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. გამომდინარე აქედან, ჭეშმარიტი მშრომელი საქმიანობისგან ნეტარებას უნდა იღებდეს. **ალიარებულია, რომ ყველაზე მეტად შრომისგან სიამოვნებას მიწის მუშაკები განიცდიან. დადასტურებულია ისიც, რომ სოფლის მეურნეობით დაკავებულნი, არიან რა ჰარმონიაში ბუნების ძალებთან ანუ ღმერთთან, ფსიქიკურად და ფიზიკურად ყველაზე ჯანსაღი ხალხია, ანუ სოფლის მეურნეობის სინერგიული ეფექტი მშრომელი ადამიანის ჯანმრთელობაზეც ვრცელდება.**

რით დაისაჯა ადამი დაცემის შემდეგ? „**ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე**“ (დაბ.3,17) – ეს არის უფლის მიერ ადამისთვის მოვლენილი სასჯელი. როგორც აღვნიშნეთ, ადამი დაცემამდეც შრომობდა და მის შემდეგაც აგრძელებს საქმიანობას, მაგრამ რაღაც შეიცვალა – **მან დაკარგა უპირობო სინერგიული ეფექტის მიღების შესაძლებლობა. უფლის მონაწილეობა ცოცხალ სამყაროში ცხადია შენარჩუნდა, ადამიც განაგრძობს ბუნებასთან თანაარსებობას, მაგრამ მისი შრომა უკვე არა სამოთხისეული განცხრომის, არამედ ტანჯვის და ოფლის მომტანია. ზოგჯერ კი საერთოდ უნაყოფო ან ცუდი ნაყოფის გამომწვევიც „ქძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მიწდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო.“** (დაბ.3,18). ადამიანი ველარ იღებს სინერგიის შედეგად დამატებით ფასეულობას, ხშირად კი ადგილი აქვს დისსინერგიასაც, როდესაც ის მისი შრომით სარჩოს ველარ მოიპოვებს და მხოლოდ ბალახილა რჩება საარსებოდ.

თუმცა, მონყალეა უფალი და ის არასდროს მიატოვებს განსაცდელში ადამის მოდგმას ოლონდ კაცობრიობას უკვე გრძელი შემეცნების გზის გავლა უნევს, მან არსებობისთვის უნდა ისწავლოს და დაიცვას უფლის კანონები, კანონები, რომლებიც ისევ ჩვენს საკეთილდღეოდ არის დანესებული. **„შეასრულეთ ჩემი წესები და ჩემი სამართალი დაიცავით. შეასრულეთ ისინი და მშვიდად იცხოვრებთ ქვეყანაში. მოგცემთ მიწა თავის ნაყოფს, მადლრისად შეჭამთ და მშვიდად იცხოვრებთ**

იქ.“ (ლევ.25, 18-19).

საზოგადოების დიდი ნაწილი ყოველთვის ცდილობს მოთხოვნილებების სწრაფად დაკმაყოფილებას, თუმცა, მალევე წარმოიქმნება ახალი მოთხოვნილებები. ინდივიდი, სახელმწიფო აწყდება რესურსების შეზღუდულობის პრობლემას. **შეიძლება ითქვას, რომ თვით ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, წარმოიშვა იმისათვის, რომ მაქსიმალურად გადაჭრას შეუზღუდავი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პრობლემა შეზღუდული რესურსების პირობებში.**

მიგვაჩნია, რომ უფლის დაშვებით მოხდა რესურსების შეზღუდვა, რათა ადამიანი გამოეფიზიკლებულიყო და სინერგიაში დარჩენილიყო ღმერთთან. სინერგიული კავშირის წყვეტა კი დამაფიქრებელ შედეგებს იწვევდა. მხოლოდ ორ ეპიზოდს დავასახელებთ წმინდა წერილიდან, რომელიც სტატიასი დასმულ საკითხს უკავშირდება:

**1. თავდაპირველად, რესურსების შეზღუდულობის პრობლემა უფლის მცნების დარღვევას უკავშირდება: ადამს და ევას არაფერი აკლდა, სანამ ღვთის მცნება არ დაარღვიეს, რის შედეგადაც ცროგორც თვითონ, ისე მათი შთამომავალნიც ხრწნილებასა და სიკვდილს დაექვემდებარენ, რესურსები კი იქცა შეზღუდულად (იშვიათად). ოფლითა და შრომით სარჩო-საბადებლის მოპოვების საკითხი წარმოჩენილი აქველი აღთქმის დასაწყისშივე: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა, ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისგან იქმენ“ (დაბ. 3:9). ამდენად, შრომის და სამეწარმეო საქმიანობის უფლება, აუცილებლობა და თუნდაც სტიმული, ფიზიკურად გადარჩენილიყო, დაფიქრებულიყო, დაცემული ნამომდგარიყო, ადამიანი ღმერთის დაწყველის შემდეგ მოიპოვა. წარღვნის შემდეგ უფალმა მიწისუმაღლე შეზღუდა რესურსი, თუმცა ახალ თაობას კვლავ მისცა ღვთისკენ მოქცევის შანსი.**

**2. სინას მთიდან დაძრულმა და აღთქმული მიწისაკენ მიმავალმა ისრაელიანებმა მესამე დღეს ატეხეს ჩივილი და გოდება საკვების სიმწირის გამო – მათ აღარ აკმაყოფილებდათ ციური მანანა და მრავალფეროვან საკვებს, განსაკუთრებით ხორცეულს ითხოვდნენ მოსესგან (რიცხვ. 11:5-6). ერის წინამძღოლი საგონებელში ჩავარდა, თუ საიდან ეშოვა ამდენი საკვები 600 ათასი ადამიანისთვის. უფალმა არ გაანბილა მოსე და მწყერთა უთვალავი გუნდი მოუვლინა ხალხს, რომელთა ნაწილი მეტისმეტი ძლომისა და გემოთმოყვარეობისგან დაიხოცა და კიბროთ-ჰაათავა („სინარბის სამარხები“) წარმოშვა (რიცხ. 11:33-34).<sup>2</sup>**

უფლის წესები არა მხოლოდ გაუგებარი აკრძალვა, არამედ აბსოლუტურად რაციონალური ხასიათისაა, ამას ყველაფერი მოწმობს. ჩვენ ბევრი რამ ჯერაც არ გვაქვს გააზრებული, რადგან შემეცნების პროცესი შემოქმედებითობას, ანუ ღმერთთან თანაზიარობას მოითხოვს.

<sup>2</sup> ჩიხლაძე ნ., რესურსების შეზღუდულობა ეკონომიკურ და მართლმადიდებლურ სწავლებათა მიხედვით. ე. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, იანვარი, 2011. გვ. 52.

<sup>1</sup> საღვთოსჯული. თბ., „მთაწმინდა“, 2012. გვ. 91



მაგალითად, იმათგან რაც უფალმა დასაბამიდან დაანება ბევრი რამ ათასწლეულების შემდეგ გაიზარა და სარგებლიანობა აღიარა ადამიანმა. „მერე შვა მისი ძმა აბელი, აბელი მეცხვარე იყო, კაენი მიწის მუშაკი“ (დაბ.4,2) შრომის სპეციალიზაციის ნიმუშია, რომელიც უპირობოდ არის მოტანილი ბიბლიაში და რასაც განუხრელად იცავს ადამიანი დასაბამიდან, მისი დადებითი გავლენა კი მეცნიერულად მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში განიმარტა. „ექვს წელიწადს თესავდე შენს ყანას, ექვს წელიწადს სხლავდე შენს ვენახს და იღებდე მოსავალს. მეშვიდე დღეს კი საუქმო შაბათია მიწისათვის, უფლის შაბათი. ყანა არ დათესო და ვენახი არ გასხლა. ჩაფანტული მარცვლიდან ამოსული არ მომკა და გაუსხლავი ვაზიდან ყურძენი არ მოკრიფო. უქმი წელიწადი იყოს მიწისთვის“ (ლევ.25,35). ეს აკრძალვაც ალბათ გაუგებარი იყო ადამიანისთვის ათასწლეულების განმავლობაში, მაშინაც კი ვერ ხსნიდა მის არსს, როდესაც აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში მოსავალს ვერ იღებდა. მის რაციონალურობაში ის მხოლოდ მიწის ნაყოფიერების მეცნიერულად შესწავლის შემდეგ დარწმუნდა. ამ კანონის შესრულების გამო უფლის რჩეული ერი სარჩოს გარეშე რომ არ დარჩეს ის აბსოლუტური სინერგიის შესაძლებლობას კვლავ უშვებს ადამიანისთვის „თუ იკითხავთ, რა ვჭამოთო მეშვიდეს წელს, თუ არ დავთესეთ და თუ არ ავიღეთო მოსავალი, ვბრძანებ ჩემს კურთხევას თქვენზე მეექვსე წელს და მოიყვანს მოსავალს სამი წლისთვის. დათესავთ მერვე წელს, მაგრამ მეცხრე წლამდე ძველ მოსავალს შეჭამთ, ძველი უნდა ჭამოთ, ვიდრე მისი მოსავალი შემოვიდოდეს“ (ლევ.25, 18-22).

სინერგიაში უფალთან მყოფობა და აგროპროდუქტების ზომიერი მიღება დღევანდელი მდგომარეობის მომტანია. ამ სისტემით და ღვთის სათნო ცხოვრებით მამამთავრები, მეუღლები ღირსი მამები, რიგითი აღმსარებლებიც კი მზებრძოლი სიცოცხლით ჯილდოდებოდნენ (მათუსალა 969 წელი, ნოე - 900, ისააკი - 180, მოსე - 120 წელი). მაკარი ალექსანდრიელმა ასი წელი იცოცხლა; წმინდა სვიმეონ მესვეტე მთელი დიდი მარხვის განმავლობაში არაფერს იხმევდა და ასსამი წლისა აღესრულა; საკვების გარეშე ატარებდა დიდმარხვას ღირსი ანთიმოზიც. იგი ას ათი წლისა მიიცვალა. სხვა მოღვაწენი კიდევ უფრო ხანდაზმულ ასაკშიც გაჰყრიან წუთისოფელს: პავლე თებაიდელი – ასცამეტი წლისა, ალიპეოს მესვეტე – ასთვრამეტისა.

გავიხსენოთ, რომ როდესაც ანანიამ, აზარია და მისაელმა ღვთისმოშიშებით არ იხმეეს აკრძალული უხვი სამეფო ტრაპეზი და ათი დღის განმავლობაში მხოლოდ ბოსტნეული და წყალი მიიღეს, ათი დღის შემდეგ ებრაელი ბავშვები უფრო ლამაზები და ჯანმრთელები იყვნენ, ვიდრე ის ყმანვილები, სამეფო ულუფას რომ იღებდნენ: „და შემდგომად დასრულებისა ათთა დღეთასა იხილვნეს სახენი მათნი კეთილებ და ძლიერებ ჳორცნი უფროს ყოველთა მჭამელთასა ტაბლასა მეფისასა“ (დან. 1:15).

ქართველები სამინათმოქმედო ცივილიზაციის შექმ-

ნის სათავეში იდგნენ და მინათმოქმედება მათთვის არა მხოლოდ უბრალო სამეურნეო საქმიანობა, არამედ ერთგვარი ღვთის მსახურება იყო. ჩვენი წარსული და მომავალი განპირობებული და გაშინაარსებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური და ემოციური საწყისებით. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები პრაქტიკულ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობების თავისებურებებიდან გამომდინარეობს. „ჩვევები ერისათვის იგივე რჯულია, იგივე კანონია, მხოლოდ დაუნერელი“ (ილიაჭავჭავაძე). („ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“, ხალხური ანდაზა).<sup>1</sup>

ქართველი ერის სპეციფიკა, მომდინარე მისი გენეტიკური კოდიდან, ასახვას პოულობს ტრადიციებში, რომლებიც განსაკუთრებული ეთნოგრაფიული თავისებურებებითა და ეპოქის კვალობაზე მოწინავე რაციონალიზმით წარმართავენ ცხოვრების სამეურნეო სფეროს, რამაც უზრუნველყო ქართველთა უძველესი და უმთავრესი საქმიანობის – სოფლის მეურნეობის გადაქცევა ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საძირკვლად.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ, უპირველესად, ქრისტიანობა გავრცელდა იმ ქვეყნებში, სადაც მევენახეობა იყო განვითარებული; ამიტომ ქართველობამ უყოყმანოდ მიიღო პური და ღვინო ქრისტიანული ზიარების საიდუმლო; ამასთან, მეღვინეობასა და ქართულს უფრას შეუნარჩუნა განსაკუთრებული დატვირთვა. ქრისტიანობას სასიკეთოდ შეერწყა უძველესი ქართული ტრადიციები და წარმართულ ჩვეულებათა ის ღირებულებები, რომლებიც ეროვნულ ინტერესებს გამოხატავდა. ქრისტიანობა იქცა ქართული ზნე-ხასიათის საყრდენ ღერძად, რომლის ირგვლივ ბრუნავს ჩვენი ეროვნული ცნობიერება. აღნიშნულთან დაკავშირებით დიდი ილია ბრძანებდა: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. ქრისტიანობა პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“.<sup>2</sup>

არქანჯელო ლამბერტი წერს: „ვინ იცის, იქნება ძველებმა იმიტომ უწოდეს ქართველებს გიორგიანი, რომ პირველად ნოემ ამ ქვეყანაში ავარჯიშა ეს ხელობა და იქნება „დაბადებამ“ აქ ქვეყნის მკვიდრთ ამისათვის უწოდა პირველი მიწის მუშაკნი. „და იხყო ნოემ კაცმან საქმედ ქვეყნისა და დაასხა ვენახი“. აქ ბერძნულ თარგმანში წერია: (ნოე) „ანთროპოს გეურგოს“ (ნოემ, კაცმა მინათმოქმედმა-ავტ.) იქაურებს დღემდის მარტო სახელი კი არა, ჩვეულებანიც თავისი პირგანდელი წინაპრებისა შერჩენიათ. მართლაც, მიწის

1 პ. კოლუაშვილი. „ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალთ“, „მერიდიანი“ თბ. 2013

2 „ამას ვამბობთ და ვლალადებ“ – ილია ჭავჭავაძე. რედაქტორ-შემდგენლები: გ. ლობჟანიძე, გ. გაბუნია, ქუთაისი, 1997.



**აბრარული სექტორი**

მუშაობას როგორც საქართველოში, ისე კოლხიდაში ისე ეტანებიან, რომ ყველას კეთილშობილურ საქმედ მიაჩნია თავის ყანაში მუშაობა. სხვა რომ არაფერი იყოს, ნოესგან მათი ჩამომავლობა, მათი ჩვეულება ამტკიცებს, ყოველგან ვენახებს აშენებენდა ცდილობენ ბევრი ღვინო მოიყვანონ, რომელიც ძლიერ უყვართ“.<sup>1</sup>

ქრისტემ გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვები, მათ შორის, ადამის პირველი ცოდვაც, შესაბამისად ჩვენს მოდგმას კვლავ გაუმძაფრდა შემოქმედების უნარი. ნინაალმდეგობა დაიძლია ადამიანურ და ღვთიურ ნებას შორის. ადამიანს ისევე მიეცა სინერგიის ეფექტით სარგებლობის უფლება და ეს უფლება უპირველესად სამეცნიერო კვლევების მკვეთრ გააქტიურებაში გამოიხატა. ადამიანს ახალი ალთქმის ფუნდამენტურ სწავლებაზე დაყრდნობით მიეცა საკუთარი ცხოვრების განვითარების შესაძლებლობაც. თუ ძველი ალთქმა არის კანონების კრებული, ახალი ალთქმა მეტ თავისუფლებას აძლევს ადამიანს, რადგან ის ყოველმხრივ სიყვარულზეა დაფუძნებული, მაგრამ გაიზარდა მისი პასუხისმგებლობაც. მაგალითად, მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების გატარების პირობებში აღარ არის საჭირო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესვენება. თუმცა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს ის,

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტი – სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1938.

რომ ბუნებაში გადაჭარბებული და უხეში ჩარევა ამცირებს სინერგიულ ეფექტს და ზოგჯერ დისსინერგიასაც იწვევს.

სოფლის მეურნეობაში რაც უფრო მეტია ქიმიზაცია, ტექნიკური თუ სხვა სახის ანთროპოგენური ჩარევა, მით უფრო მცირდება ღვთიური პროცესების შემოქმედებითი ძალა და შესაბამისად, სინერგიული ეფექტი, რამაც კატასტროფულად შეიძლება იმოქმედოს კაცობრიობაზე. ადამიანს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია მიმართოს ხელოვნური ჩარევის მეთოდებს, რაც ამონურავს ბუნებრივი შემოქმედების რესურსებს, შემოქმედებითი სინერგიული მიდგომის შემთხვევაში კი ეს დაუმრეტელი საბადაოა. სწორედ ამას აცნობიერებს უკანასკნელ ხანებში კაცობრიობა და უდიდესი გასაქანი ეძლევა ბიოორგანულ სოფლის მეურნეობას.

ეკონომიკის ყველა სფეროს წარმომადგენლებს და მათ შორის განსაკუთრებით სოფლის მუშაკებს უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი ალთქმა და ქრისტიანული ეკონომიკა საქმით გამოვლენილი მორალური ნორმებია.

**პაატა კოლუაშვილი,**  
სტუ პროფესორი  
**ბადრი რამიშვილი,**  
ოსტუ პროფესორი

**SYNERGY IN AGRICULTURE – COOPERATION WITH GOD**

**Paata Koguashvili, Professor of GTU**  
**Badri Ramishvili, TSU Professor**

**SUMMARY**

Synergy as a word of Greek origin and means cooperation and assistance. And in economics, it has been inculcated for designation of that phenomenon, when in case of combining different business-factors there is obtained greater effect than if these factors are used separately.

In modern understanding, synergy is caused by creative abilities of people, i.e. the thing that maximally makes the descendants of Adam look like God. Along with cooperation, the great point in synergy consists in the process of creating a new value, which does not have material, visual and determinant constituents. If we follow-up this line of thought, the God’s creativity is an absolute synergy, in other words the creation of everything out of nothing.

God created man in his image and likeness, therefore gave him creative or synergistic ability as well. Any living organism represents every-day confirmation of God’s synergy, and at present, in science, this miraculous manifestation of a higher being is known by different names – photosynthesis, cellular metabolism, fertilization, pollination and so on.

Agriculture is a human impact on earth and living world, and as we noted earlier, in any living organism there occurs miraculous divine processes. Based on this, we can conclude that agriculture is cooperation of people with God. In the activities in this field, human being impacts on agricultural land, plants, animals only to a some extent, and a large part of processes occurs independently of him.

Existence in synergy with God and moderate consumption of agricultural products represent a precondition to longevity. By this system and God-fearing life, church celebrants, desert fathers and holy fathers, and even ordinary confessors have been granted with long life.

Georgians were among originators of agricultural civilization, and agriculture for them was not only ordinary economic activity, but a sort of being used of God. Our past and our future are conditioned and contented with land-related religious, rational and emotional sources. All this predestined special habits, desires and propensities of Georgians in practical life that is followed from peculiarities of eternal interrelations with earth.

## ავტორიტეტით და ვუკატრონოთ მიწას

2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მიწისტრთა კაბინეტს.

მას შემდეგ, რაც 2004 წელს ხელისუფლებაში მოსული ახალი მთავრობის მიერ ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მისი ძირითადი ფუნქციები გადანაწილდა საქართველოს იუსტიციის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს შორის. **კერძოდ, მიწების აღრიცხვისა და მიწის ბალანსის შედგენის ფუნქციები გადაეცა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, რომელმაც გაურკვეველი მიზეზების გამო უარი განაცხადა ამ ფუნქციების შესრულებაზე. შემდგომ ეს ფუნქციები, მართალია, გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მაგრამ მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე არ ხორციელდება.**

ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასაოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.

უკანასკნელად საქართველოს მიწის ბალანსი გაკეთდა 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რომლის საფუძველზეც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობები შეადგენდა 3025,8 ათას ჰექტარს, მათ შორის სახნავი – 802,1 ათას ჰექტარს, მრავანლიანი ნარგავები – 263,5 ათას ჰექტარს, სათიბი – 143,5 ათას ჰექტარს და საძოვარი – 1796,6 ათას ჰექტარს.

საყურადღებოა, რომ მიწის ბალანსი მოიცავდა მონაცემებს დასავლეთ საქართველოში მიწების მეორადი დაჭაობების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში – გაუდაბნოების, ეროზირებული, დამლაშებული და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებულ სხვა არასასურველი პროცესების შესახებ. ჩუკანასკნელ პერიოდში ეს პროცესები, ბუნებრივია, უფრო ფართო ხასიათს მიიღებდა, მაგრამ თუ რა მდგომარეობაა დღეს ამ მიმართულებით, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, სათანადო მონაცემების არარსებობის გამო.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების



**ვაათა კოლუაშვილი,**  
**ეკ. მეცნ. დოქტორი,**  
**სტუ სრული პროფესორი**



**ანზორ მახიტაშვილი**  
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

მიწის მთლიანი ფართობი შეადგენდა მხოლოდ 838,0 ათას ჰექტარს. ამის შესახებ ქვეყანაში შემოფოთება არავის გამოუხატავს, მაგრამ გაცემა ვერ დამალა გაეროს შესაბამისმა სამსახურმა, რის შესახებაც წერილობით აცნობა ჩვენი ქვეყნის მთავრობას და მოითხოვა შესაბამისი ახსნა 2 მლნ. ჰა-ზე მეტი ფართობის „გაქრობის“ შესახებ.

ნებისმიერი ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მისი წილი ქვეყნის მთლიან ნივთობრივ სიმდიდრეში დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მახასიათებლებზე, ხოლო მეორე მხრივ ამ ქვეყანაში არსებული კაპიტალის რაოდენობასა და სტრუქტურაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ნივთობრივი სიმდიდრის შემადგენლობაში

**გუნებრივი რესურსები**

მინის წილი, როგორც წესი, დაბალია და პირიქით. აშშ-ის კაპიტალის და მინის ღირებულება 1985 წელს 12.5 ტრილიონ დოლარად იყო შეფასებული, რომელშიც მინის წილი მხოლოდ 18%-ს შეადგენდა, ხოლო საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ. აშშ-ის დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მინას 54.3% ეკავა. უდავოა ისიც, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, რაც მეტი ნივთობრივი სიმდიდრე გააჩნია ქვეყანას უფრო მეტი ერთობლივი შიგა პროდუქტის წარმოება შეუძლია მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. აღნიშნულის გამო მინის რესურსები ყველგან და ყოველთვის მოიაზრებოდა ნებისმიერი საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი დოვლათის წარმოების მყარ ეკონომიკურ საფუძველად.

**2004 წლიდან საქართველოში შეწყდა ყველაზე ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრის – მინის (ერის განსაკუთრებული ინტერესის საგანის) – ერთიანი ბალანსის (ანუ, მინის აღრიცხვის და კონტროლის) შედგენისა და დამუშავების აპრობირებული პრაქტიკა, რასაც დეპარტამენტი რაიონებიდან და ავტონომიური წარმონაქმნებიდან მიღებული პირველადი მასალების დამუშავების და განზოგადების საფუძველზე აკეთებდა.**

მართალია მისი ფუნქციები სხვა სამინისტროებზე გადანაწილდა (იუსტიციის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების), მაგრამ ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას – **მინების აღრიცხვისა და მინის ბალანსის შედგენისას** – დღემდე არც ერთი სამინისტრო არ ასრულებს.

დღეს ძნელად წარმოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული (ან საპრივატიზებო) მინის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ იცოდეს, როგორ იცვლება ქვეყანაში მინის კატეგორიები (სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რაც აქტუალური გახდა სავარგულის თითოეულ სახეზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო), რა საზღვრებში რჩება საქართველო (ოთხი მოსაზღვრე ქვეყნიდან სამთან დღემდე არ გვაქვს დადგენილი სახელმწიფო საზღვარი) და მისი ცალკეული მხარეები და რაიონები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის რა რაოდენობა წავიდა ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის და ა.შ., რაც მინის მართვისა და რაციონალური გამოყენების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. დღეს უცნობია რა ცვლილებები მოხდა მინათსარგებლობაში 2004 წლიდან განვლილ პერიოდში, როგორ გამოიყენება მინის სავარგულები, აქედან, რამდენია დაქვემდებარებული ქარისმიერ თუ წყლისმიერ ეროზიას, რა უნდა გაკეთდეს მინის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, რატომ, ან რა მოტივით, გააუქმა ხელისუფლებამ მინის მართვის სამსახური და მინის ბალანსის შედგენის ყოველწლიური პრაქტიკა. ეს

კითხვები დღემდე პასუხგაუცემელია.

საქართველოს ძირითადი ნივთობრივი სიმდიდრის ყოველწლიურ ბალანსში მინა აღირიცხებოდა დანიშნულებისა და კატეგორიების, აგრეთვე საკუთრებისა და სარგებლობის ფორმების მიხედვით. მასში აისახებოდა წლის განმავლობაში მინის კატეგორიებში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში და საკუთრება-სარგებლობაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები. მინის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ და მტკიცდებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მინების უფრო რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

მინის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მინის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზების და სხვა საქროებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მინის ჩანაცვლებას და ა.შ.

**დღეს ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ მინის ფონდის უკანასკნელი ბალანსის მიხედვით ქვეყნის საერთო მინის ფონდიდან (7.6 მლნ.ჰა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინა შეადგენდა 3771.2 ათ. ჰა-ს, საიდანაც 3025.8 ათ. ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მოდიოდა (მათ შორის სახნავი 802.1 ათ. ჰა, მრავალწლიანი ნარგავები – 263.5 ათ. ჰა, სათიბი – 149.5, საძოვარი 1796.6 ათ. ჰა. კერძო საკუთრებაში გაცემული იყო 767.3 ათ. ჰა, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა 447.2 ათ. ჰა ინტენსიური სავარგული), ამასთან, სავსებით უცნობია, 2004 წლის შემდგომ პერიოდში რა ხასიათის რაოდენობრივი ცვლილებები მოხდა მინის საერთო ფონდის სტრუქტურაში, რა რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინა დარჩა ქვეყანაში (ამ კითხვაზე პასუხის მიღების ინტერესს ამაღლებს ის რომ 1997 წელს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი: “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მინის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ”, რომელიც ნებას რთავდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის მეპატრონეს სურვილისა და სათანადო თანხის გადახდის შემთხვევაში მინა გადაეყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის კატეგორიაში), რა ტრანსფორმაცია მოხდა სავარგულების სტრუქტურაში, რა რაოდენობის ინტენსიური სავარგულია დღეს საქართველოში, მათგან რამდენია პრივატიზებული, რამდენი რჩება სახელმწიფო საკუთრებაში და ა.შ.**

თანამედროვე მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, სადაც მინის ყოველწლიური ბალანსი ან მსგავსი რამ არ კეთდებოდა, ანუ არ აკონტროლებდნენ მინის რესურსების მოძრაობას (დინამიკას), ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით





არ აანალიზებდნენ მიწის კატეგორიებში მომხდარ რაოდენობრივ-ხარისხობრივ ცვლილებებს და არ სახავდნენ ქმედით ღონისძიებებს მიწის რესურსების რაციონალური მართვის მიზნით.

**ამავე კონტექსტში უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნიებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული ტექნიკური და ფინანსური დახმარებისა, საქართველოს დღემდე არ გააჩნია მიწის სრულყოფილი სახელმწიფო კადასტრი, რომელიც მიწის რაოდენობრივ აღრიცხვასთან ერთად უნდა მოიცავდეს მიწის ხარისხობრივ აღრიცხვას, მიწის ეკონომიკურ შეფასებას და მიწათმოსარგებლეთა სახელმწიფო რეგისტრაციას. ჩამოთვლილი კომპონენტებიდან დღეს საქართველოში მხოლოდ მიწათმოსარგებლეთა სახელმწიფო რეგისტრაციის სისტემაა მოწესრიგებული, რომელიც ბაზარზე მიწის ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების და მიწის მემკვიდრეობით გადაცემის ფაქტებს აღრიცხავს.**

რაც შეეხება მიწის ხარისხობრივი ნიშნით აღრიცხვას (რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვას – რამდენად ღირებულია სამეურნეო თვალსაზრისით ესა თუ ის მიწის ნაკვეთი როგორც ბუნებრივი რესურსი და წარმოების საშუალება) მასზე მუშაობა დღემდე დაწყებულიც არ არის.

იგივე შეიძლება ითქვას მიწის ეკონომიკური შეფასების თაობაზე, რომელმაც უნდა დაადგინოს მიწის შეფარდებითი ღირებულება ცალკეული რაიონის თუ მხარის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. მიწის ეკონომიკურ შეფასებაში მოიაზრება მიწის როგორც წარმოების ძირითადი საშუალების შემოსავლიანობის დონე, მიწის ხარისხი და პროდუქციის გასაღების ბაზრის მიმართ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა.

მიწის სახელმწიფო კადასტრის ბოლო ორი კომპონენტი (მიწის ხარისხობრივი აღრიცხვა და ეკონომიკური შეფასება) აუცილებელია მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის, მიწაზე გადასახადის ზომის დადგენის,

მიწის იპოთეკით დატვირთვის და სხვა სამეურნეო და ფინანსური ოპერაციების განხორციელებისთვის.

მიუხედავად ამისა, როგორც მიწის ხარისხობრივი აღრიცხვის, ისე ეკონომიკური შეფასების საკითხები დღემდე მოუგვარებელია (ამიტომაცაა, რომ დღემდე სოფლად საქონელმწარმოებელი გადასახადს იხდის: „კარგ მიწაზე“, „საშუალო მიწაზე“ და „ცუდ მიწაზე“. მაგრამ რას ნიშნავს კარგი, საშუალო და ცუდი მიწა ვერავინ დაგისაბუთებთ).

მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე მსჯელობა უხერხულიცაა, როცა არ არსებობს მიწის ფონდის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი, ანუ მიწაზე დაკვირვების ორგანიზაციული სისტემა. მან უნდა გამოავლინოს მიწასთან დაკავშირებული ყველა ნეგატიური პროცესი და მოვლენა, რათა გატარდეს შესაბამისი ზომები მათი დროული აღმოფხვრისათვის. საყურადღებოა რომ ყველა ქვეყანაში მიწის მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა. მიწაზე მონიტორინგი ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურის მიერ და ის პრაქტიკულად უზრუნველყოფს მიწის სახელმწიფო კადასტრის ინფორმაციულ მომსახურებას და შესაბამის კონტროლს მიწის გამოყენებასა და დაცვაზე.

მიწის მონიტორინგმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს – როგორია მიწათსარგებლობის საერთო მდგომარეობა ქვეყანაში, რა არასასურველი ცვლილებებია მოსალოდნელი მიწის ნაყოფიერებაში და რა პრევენციული ზომებია მისაღები მის აღსაკვეთად, როგორია ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიული პროცესების დინამიკა, როგორია ნიადაგში ჰუმუსის ბალანსი, მიმდინარეობს თუ არა მიწის დაჭაობების ან გაუდაბნოების პროცესი, როგორია პესტიციდებით, მძიმე მეტალებით და სხვა ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების დონე და. ა.შ. ამ კითხვებზე შესაბამისი პასუხების მოძიება დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან არ არსებობს მონიტორინგის შესაბამისი სამსახური. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 2003

**ბუნებრივი რესურსები**

ნლის მონაცემებით, საქართველოში ეროზიულ პროცესებს ექვემდებარებოდა 300 ათ. ჰა-მდე ინტენსიური სავარგული (უნდა ვივარაუდოთ, რომ დღეს ეროზირებული ფართობების რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტი იქნება). კოლხეთის დაბლობზე შეიმჩნევა მეორადი დაჭაობების პროცესი (სულ დაშრობილი იყო 140 ათასი ჰა), გარე კახეთში – გაუდაბნოებისა, დიდი პრობლემაა ბიცობი და დამლაშებული ნიადაგები, რომელთა ფართობი 205 ათას ჰა-მდეა და ა.შ. ექსპერტული შეფასებით, დღეისათვის ეროზიის შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ყოველწლიურად იკარგება ერთი მლნ. აშშ დოლარის ღირებულების მინერალური სასუქების ეკვივალენტური რაოდენობის საკვები ელემენტები. ჰუმუსისა და საკვები ელემენტების ბალანსი პრაქტიკულად ყველა ტიპის ნიადაგში უარყოფითია.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის შედეგია, რომ მიწის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული სამინათ-

ხელისუფლების შესაბამისი ორგანიზაციებისთვის.

**ჩვენი აზრით, საქართველოს მიწის ფართობების აღრიცხვის უგულებელყოფა სახელმწიფოებრივი დანაშაულია და მომავალი თაობა ამას არ გვაპატიებს.**

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საქართველოს იუსტიციის მინისტრთან ამჟამად შექმნილია კომისია, რომელიც მუშაობს მიწის აღრიცხვისა და მიწის კოდექსის პროექტის შედგენის საკითხებზე, რასაც, რა თქმა უნდა, მივესალმებით. თუმცა, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ კომისიის შემადგენლობაში არ არიან შეყვანილი მაღალკვალიფიციური, შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტები, რომლებიც მუშაობდნენ მიწის მართვის პრობლემურ საკითხებზე და აქვთ შესაბამისი გამოცდილება ამ სფეროში (ნ. ტურაბელიძე, დ. ეგიაშვილი, გ. ზიბზიბაძე, გ. ბუცხრიკიძე, ნ. სტეფნაძე, რ. კირკიტაძე, ნ. ჟორდანია, მ. ნადარაია, გ. ყალიჩავა, ა. ფირცხალაშვილი და სხვ.).

გავეცანით რა ზემოხსენებული კომისის წევრის,



მონყობო ინსტიტუტი და ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევის და სხვა მიმდინარე სამუშაოები. სახელმწიფო აგარარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი არაერთი წერილის, ჩვენი არაერთი პუბლიკაციისა და სატელევიზიო გამოსვლის მიუხედავად, სამწუხაროდ, მიწის აღრიცხვისა და მიწის კოდექსთან ჩვენს მიერ დაყენებულ მწვავე საკითხებს შესაბამისი ორგანოების მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

**ყოველივე ზემოაღნიშნულზე იმიტომ გვაკეთეთ ძირითადი აქცენტი, რომ ქვეყნისთვის უპირველესი ეროვნული სიმდიდრის – მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მონესრიგება დროული და უპირველესი ამოცანა უნდა გამხდარიყო ახალი**

ქ. კვიციანის მიერ შედგენილ მიწის კოდექსის პროექტს, გვინდა მის მიმართ გამოვთქვათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცალკეული შენიშვნები და წინადადებები:

– მიწის კოდექსის პროექტი, ძირითადად, აგებულია მიწის ერთიანი ფონდის, ყოფილი საბჭოთა კავშირის დროინდელი მიწის ბალანსის და მიწის კოდექსის საფუძველზე, რაც მთლიანად ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, ასევე „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონს (რომელიც მიღებულია 2010 წლის 21 ივლისს, №3512-რს), ამჟამად მოქმედ საქართველოს საგადასახადო კოდექსს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსს;

– როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და მიწის კოდექსის პროექტის ავტორები ვერ გაითვალისწინებდნენ მიწასთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომლებიც მოცემულია



ადგილობრივი თვითმართველობის ახალ კანონში;

– მიწის კოდექსის პროექტში შემოტანილია ახალი ცნებები და ტერმინები, რომელთა ნაწილი, ჩვენი აზრით, მიუღებელია, ხოლო რაც მისაღებია, პროექტში არაა მოცემული მათი განმარტება; გარდა ამისა, კოდექსის პროექტში გამოყენებული რიგი სხვა ცნებები და ტერმინები არ არის სრულყოფილად გადმოცემული და ამდენად, არ იძლევა ამა თუ იმ ცნების თუ ტერმინის სრულყოფილად გაგების საშუალებას; ამასთან ერთად, კოდექსის პროექტში არ არის გათვალისწინებული პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

– კოდექსის პროექტის ავტორს არ აქვს გათვალისწინებული ასევე საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, რის გამოც არასწორად ადგენს, რომ თითქოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული წიაღისეული მიწის მესაკუთრის საკუთრებაა (საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, მუხლი მე-2, პუნქტი 3 ადგენს: „მიწაზე საკუთრების უფლება არ ნიშნავს და არ იძლევა წიაღზე საკუთრების უფლებას“);

• მიწის კოდექსის პროექტში განხილულია უძრავი ქონების – მიწის გირავნობა, რაც ჩვენი აზრით, არ არის სწორი (უნდა იყოს იპოთეკა), რადგან გირავნობა ხდება მოძრავ ნივთზე. უძრავი ქონება – მიწა კი იტვირთება იპოთეკით);

• პროექტის მთელი რიგი მუხლები ბუნდოვანია და მოითხოვს დაზუსტებას, აკლია კონკრეტულობა და არცთუ იშვიათად, ურთიერთსაწინააღმდეგოა, ამასთან, საკითხები არაასისტემურადაა დალაგებული, კოდექსის პროექტში ხშირ შემთხვევაში მიწის აუქციონის ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი: „ვაჭრობა“, რაც არასწორად მიგვაჩნია;

• მიწის კოდექსის პროექტში ასევე ვრცლად მოცემულია მიწის იჯარის, მიწის განკარგვის, უზურფუქტის... ინსტრუქციები, რაც, ჩვენი აზრით, არ არის საჭირო, რადგან ამ საკითხებზე არსებობს მთავრობის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ნორმატიული აქტები და მათი დანვრილებითი მოტანა კოდექსის

პროექტში მიზანშეწონილი არ არის. რადგან კოდექსი ისედაც საკმაოდ არის გადატვირთული არააუცილებელი დებულებებით. მიგვაჩნია, რომ მიწის კოდექსი კანონთა კრებული უნდა იყოს და არა მანამდე მოცემული ნორმატიული აქტების ნაკრები;

• კოდექსის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ისეთ საკითხებს, რომლებიც მოცემულია ტყისა და წყლის კოდექსებში და ამდენად მათი გამეორება მიწის კოდექსში არ მიგვაჩნია მართებულიად.

მართალია, ბუნებაში იმთავითვე, სრულყოფილი კანონის მიღება, როგორც წესი, ვერ ხერხდება (მხოლოდ პრაქტიკის განზოგადება, სიტუაციური ექსცესები სრულყოფს და ხვეწავს მას), მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონის პროექტს მოეთხოვება იყოს არა ზოგადი, არამედ კონკრეტული და ნაკლებ ხარვეზიანი, რაც განსახილველ კანონის პროექტს არ ახასიათებს.

პროექტის თითქმის ყველა მუხლსა და პუნქტზე არსებობს სერიოზული შენიშვნები და წინადადებები, რომელთა ნერილის ფორმატში განხილვა-გაანალიზება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. აღნიშნულის გამო საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შექმნილ მიწის აღრიცხვისა და მიწის კოდექსის პროექტის შემუშავებულ კომისიას მიგმართავთ, ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმში განიხილონ ჩვენი შენიშვნები და არგუმენტული დასკვნების მოსმენის შემდეგ გაითვალისწინონ ისინი პროექტის საბოლოო ვარიანტში.

ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება მიწის კოდექსის ახალი პროექტის შემუშავება, ვიდრე წარმოდგენილის გადამუშავება ან/და ჩასწორება.

**დაბოლოს:** გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ეკონომიკური ეფექტის მიღება შეუძლებელი იქნება მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის, მიწაზე მონიტორინგის და მიწის სათანადო დაცვის გარეშე. ამ მიზნით მიგვაჩნია, რომ საჭიროა ქვეყანაში დროულად შეიქმნას მძლავრი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მიწის რაციონალურ გამოყენებასთან და დაცვასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია დაეკისრება.





## აბრომენეჯმენტის განვითარების აუსილებლობა და პერსპექტივები

**გლობალიზაციას დადებითად ერთად მრავალი უარყოფითი გავლენა აქვს ჩვენს ეკონომიკაზე, მათ შორის სოფლის მეურნეობაზეც. სხვა ქვეყნების დაბალფასიანი, ხშირ შემთხვევაში არც თუ მთლად ხარისხიანი და უსაფრთხო პროდუქციით გაჯერებულია ჩვენი შიდა ბაზარი, რომელთანაც კონკურენცია ადგილობრივ პროდუქციას და ფერმერებს არა მხოლოდ ფასის, არამედ შესაბამისი „ბრძოლის უნარების“ არცოდნის გამოც ძალიან უჭირთ.**



სწორედ ამ უნარების შეძენასა და ათვისებაში ორგანიზებული დახმარებაა საჭირო, რათა მხოლოდ ინტუიციასა და შემთხვევითობაზე არ იყოს დამოკიდებული დიდი შრომის შედეგად მოყვანილი პროდუქციის რეალიზაციის საკითხი.

დარგის ეფექტიანობის ამაღლების საუკეთესო გზაა – კონკურენციის ხელშეწყობა და რეგულირების ოპტიმიზაცია. გლობალიზაციის პირობებში ცხადია ჩვენი ბაზარი ვერ დაიხურება. ამასთან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ გახსნილი ეკონომიკები გრძელვადიანი პერიოდისთვის უფრო ეფექტურია, ვიდრე დახურული და გარე ზემოქმედებისაგან დაცული ეკონომიკები.

სოფლის მეურნეობის „რეანიმაციისთვის“ გამოყოფილი თანხის გადანაწილება, აგრომეურნეობის მიმართულებებისა და სანარმოების განვითარებისთვის, ამ ეტაპზე ფაქტობრივად საბანკო სექტორის და ბაზრის კონიუნქტურისა და გადაწყვეტილებების ამარა რჩება.

ასეთი მიდგომა გრძელვადიანი პერიოდისთვის გამართლებულია, მაგრამ მოკლევადიან პერიოდში რეალურ შედეგებს ვერ მოიტანს, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მიმართულებით ჩვენს საბანკო სფეროს გამოცდილება, შესაბამისი კადრები, და შეიძლება შესაფერისი მოტივაციაც ნაკლებად აქვს. ამიტომ, დიდი და არასწორი მოლოდინების გაცრუებისა და ფლუსტრაციის საშიშროება საკმაოდ რეალურია.

ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი, მაგრამ ამ ეტაპისთვის ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე დარგის, სოფლის მეურნეობის, სწრაფი რეაბილიტაციისა და განვითარებისთვის გამოყოფილი თანხების მაქსიმალური ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის გამოყენება და თოთოეულ მიმართულებაზე შესაბამისი სტრუქტურის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის, და რაც მთავარია

სწორად შერჩეულიმენეჯმენტისა და პერსონალის გაპიროვნება.

პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაზე მსოფლიოს მონინავე გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, აგრარული მიმართულებით მომუშავექართული სამეცნიერო პოტენციალის უფრო მეტად ჩართვა, მათი შესაძლებლობების აკუმულირება ერთ სამეცნიერო ცენტრში, გაცილებით მაღალ ეფექტს საკმაოდ მოკლე დროში მოიტანს. ცენტრს შესაძლებლობა ექნება კოორდინირება გაუწიოს სხვადასხვა მიმართულებების (აგრონომია, გადამამუშავებელი წარმოება, აგრომენეჯმენტი, რეალიზაცია, ტრენინგები და სხვა) განვითარებას, ამასთან მათი მოტივაციაც მაღალი იქნება, ვინაიდან ნაშრომების და კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლო პერიოდში რეალურად არარეალიზებულია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მიღწევებისა და წარმატებული გამოცდილების სწრაფი ტირაჟირება და უფრო აგრესიული საინფორმაციო პოლიტიკის წარმოება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სოფლებში, თავიდან აგვაცილებს კომუნიკაციის ნაკლებობით გამონვეულ გაუგებრობებს და განაპირობებს გამოყოფილი თანხებისა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებების სწრაფ იმპლიმენტაციას.

ბევრ სპეციფიკურ სირთულესთან ერთად ქართულ სოფელს მცირემიწიანობა (მრავალ მფლობელზე დანაწევრებული სავარგულები) ახასიათებს, რაც მნიშვნელოვნად ართულებს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას, მაღალმწარმოებლური ტექნიკის შეძენასა და გამოყენებას, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების დანერგვას. ეს ყველაფერი საბოლოოდ აისახება მოსავლიანობაზე, მიღებული მოსავლის რეალიზაციის გართულებაზე,

გადამამუშავებელი საწარმოების შექმნაზე, საბანკო და სადაზღვევო პროდუქტებით სარგებლობაზე, დარგისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი რისკების მართვაზე.

მინის მეორადი ბაზრის ჩამოყალიბება და ფერმერული მეურნეობების გამსხვილება ფაქტობრივად ახალი დანყებულია. გამსხვილება ძირითადად ჯერ კიდევ სტიქიურ ხასიათს ატარებს. აქამდე სახელმწიფოს მარეგულირებელი და მასტიმულირებელი როლი ფაქტობრივად არ იკვეთებოდა.

ამჟამად საკმაოდ აქტიური ნაბიჯები იდგმება სახელმწიფოს მიერ პირდაპირი და ირიბი მეთოდებით კოოპერირების ხელშეწყობისთვის: გაერთიანებათა სუბსიდირება და სხვადასხვა სახის მატერიალური დახმარება; საკანონმდებლო რეგულირება და შეღავათები. აღსანიშნავია ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერირებისადმი რეალურ ხელშეწყობას ითვალისწინებს. სასურველია ასეთი ნორმატიული რეგულირების პროცედურების რეალურ საქმიანობაში დანერგვის ფორსირება და ხელშეწყობა.

შიდა ბაზრის და მომხმარებელთა დაცვისთვის სურსათის მონიტორინგის სამსახურის იმედისმომცემი გააქტიურება პერმანენტულ, სისტემურ და პრევენციულ ღონისძიებებში უნდა გადაიზარდოს და უხარისხო პროდუქციის ამოღებაზე მარტო ერთჯერადი ნერტილოვანი ღონისძიებებით არ შემოიფარგლოს.

აღსანიშნავია სახელმწიფოს თანადგომა საგარეო ბაზრების მოძიებისა და გახსნის თვალსაზრისით, ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავების მასშტაბების ზრდისა და გადამამუშავებელი საწარმოების ხელშეწყობის მიმართულებით. ყველაფერთან ერთად აუცილებელია შუალედური (დამაკავშირებელი) რგოლის-დამამზადებლების (მენახვა, დახარისხება, შეფუთვა, მინოდება) განვითარების ხელშეწყობა-დროისა და სახსრების ოპტიმიზაციისათვის.

ამდენ სიახლეს, საშინაო და საგარეო გამოწვევებს ჩვენი ფერმერები თითქმის მოუზმადებლები ხვდებიან. აგროგარემოში მიმდინარე სრულმასშტაბიანი ძვრები მოითხოვენ მუდმივ განვითარებას და სრულყოფას. ფაქტობრივად საქართველოში აგრომენეჯმენტის

თვალსაზრისით არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა, მით უფრო რეალური აგროლიდერების ფორმირების საქმეში. გამოცდილება მენეჯმენტის საფუძვლებში მხოლოდ ერთეულებს აქვთ. ვფიქრობთ, საბაზრო მოთხოვნებისა და სახელმწიფოს ხელშეწყობითაც, სამომავლოდ მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება და გაძლიერდება.

გლობალიზაციისა და უსწრაფესად მზარდი საინფორმაციონაკადების კვალობაზე, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად უნდა მომზადდნენ მენეჯერები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებასთან ერთად შეძლებენ ჩამოყალიბონ და შემდგომ მართონ მწარმოებლებს, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობები, ხელი შეუწყონ ინოვაციებს და ადამიანური რესურსების მართვის ახალი მიდგომებს.

სოფლად დასაქმებულები ამ სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური და მარავალფეროვანი რისკების მართვას ელემენტურულ დონეზეც ვერ ახერხებენ და მხოლოდ სახელმწიფოს ერთჯერად ინექციებზე არიან დამოკიდებულნი. არც ისინი და არც ჩვენი სადაზღვევო ინფრასტრუქტურაა მზად ამ მიმართულებით თანამშრომლობისთვის. ამაზე მეტყველებს აგრო რისკების შემცირებისთვის სადაზღვევო სექტორის 1%-იანი გამოცდილება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ მომსახურებაზე მოთხოვნა ფაქტობრივად ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გასატარებელი.

**უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში აგრომენეჯერთა ფენის ჩამოყალიბება საწყის ეტაპზეა. განსაკუთრებული პრობლემაა კვალიფიციური აგრომენეჯერების მომზადების თვალსაზრისით.** ამიტომ არის განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება პრიორიტეტული. მთავრობას ძირეულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად შეუძლია მხარი დაუჭიროს კერძო ინიციატივების განვითარებას, ამ სფეროში ტრენინგ კურსებისა და სწავლების ახალი და კრეატიული მიმართულებების დანერგვისა და განვითარებისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ უმაღლესი განათლება, პირადი გამოცდილება, სხვადასხვა ტრენინგები და კურსები ნამდვილად არ არის საკმარისი დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. აგ-







რომენეჯერების საქმიანობა ძალიან სპეციფიკურია. აგრონარმოების სულ უფრო მზარდი, და მოსალოდნელი ბუმი ამ სფეროში, ცვლილებებისაკენ და აგრომეურნეობის სრულყოფისკენ სწრაფვა, ამ მიმართულებით უწყვეტი განათლების სისტემის სრულყოფას მოითხოვს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ჩავრდნა იყო და შესაბამისი დარგის მესვეურებს ფაქტობრივად მინიმალური საფუძვლიდან მოუწევთ კოლოსალური სამუშაოების ჩატარება.

აგრომენეჯერების მომზადებისთვის ორი ძირითადი მიმართულებით არის მნიშვნელოვანი ღონისძიებები გასატარებელი, პირველი და ვიქრობთ, შედარებით მასშტაბური და განსახორციელებლად უფრო რთულიც-ძირითადი და ელემენტარული საკითხების მასობრივ დონეზე სწავლება, და მეორე-ძირეული განათლება აგრომენეჯერებში.

პირველი მიმართულების ძირითადი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ფერმერებისა და პოტენციური ფერმერებისთვის ამ სწავლების აუცილებლობის გაცნობიერება ჯერ რეალურად არ მომხდარა, და ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს დიდი ალბათობით სკეპტიკურად შეხედებიან და სწავლის მოტივაციაც დაბალი იქნება. არც ის არის გამორიცხული, მათივე განათლებაზე გაღებული თანხების საჭიროებასა და აუცილებლობაზე გაუჩნდეთ კითხვის ნიშნები და გარკვეული აგრესიაც გამოიწვიოს მათში, მათი შეხედულებით „ფუჭად გადაყრილმა თანხებმა“.

შედარებით მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმონაქმნების-აგროფირმების და კოოპერატივების მენეჯერებმა ცხადია იციან რომ აგრარული საქმიანობის პოტენციურად სწრაფად მზარდი ტემპი და ამ სფეროში გლობალურად მიდინარე პროცესები და ცვლილებები მათგანაც მოითხოვენ მუდმივ განვითარებასა და სრულყოფას.

საჭიროა აგროლიდერების ჩამოალიბება, რომლებიც დაკავდებიან აგროსფეროში ადამიანების მართვით, თანამედროვე აგრომეურნეობისთვის საჭირო უნარჩვევების სწავლებით, გახდინან აგროფირმებს მომგებიანს და წარმატებულს. ეს არც თუ იოლი საქმე იქნება, ვინაიდან არა მარტო საქართველოს ყველა რეგიონს, არამედ თითოეულ მოქმედ და პოტენციურ აგროფირმას

თავისი სპეციფიკა და სირთულეები ექნება.

ერთ-ერთი პროდუქტიული ფორმა შეიძლება გახდეს აგროკოუჩინგი, რომელიც მრავალ ქვეყანაში უკვე წრმატებით გამოიყენება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად კოუჩინგის განვითარების მასშტაბები ჩვენს ქვეყანაში არცთუ მნიშვნელოვანია, მათ შორის მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდებითა და მიმართულებით ფუნქციონირებად ეკონომიკის უფროგანვითარებულ სფეროებშიც კი.

მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების შესწავლა საშუალებას მისცემს ჩვენს ფერმერებს შედარებით მოკლე ვადაში, ხარისხიანი კომუნიკაციების განვითარების კვლობაზე, საკმაოდ მარტივად და კომფორტულად, მნიშვნელოვნად გაზარდონ პირადი ეფექტიანობა, აიმაღლონ ცოდნის დონე, სიტუაციების გაცნობიერების და გადამწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობები და წარმატებულად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა რესურსი. შესძლებენ თავად მოძებნონ საუკეთესო გზა შედარებით მოკლე დროსა და მინიმალური ფინანსური დანახარჯებით. პრაქტიკაში მოახდინონ საკუთარი გამოცდილების, პროფესიული და პიროვნული უნარჩვევების მაქსიმალური რეალიზაცია, განივითარონ ლიდერული თვისებები. გვერდიდან შეხედონ საკუთარ ბიზნესს, გაანალიზონ მოვლენები და კონცენტრირდენ წარმატებულ სტრატეგიებზე და არა წარსულ ჩავარდნებსა და შეცდომებზე. ყველაფერი ეს საბოლოო ჯამში წაადგებათ ფერმერებსაც და ქვეყნის ეკონომიკასაც.

საყოველთაო განათლებას და დარგში სიახლეების სწრაფ და ეფექტიან გავრცელებას, აგროსფეროს სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობს მობილური ტრენინგ ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც ადგილობრივ საკონსულტაციო ცენტრებთან კოორდინაციითა და თანამშრომლობით ადგილზევე გაეცნობიან მდგომარეობას და პრობლემებს და სწორედ კონკრეტული რაიონის ან სოფლის თავისებურებებიდან გამომდინარე მიანვდიან შესაბამის ინფორმაციას ადგილობრივ მოსახლეობას. ისინი მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის ტირაჟირებით არ შემოიფარგლებიან, რაც გაზრდის ადგილობრივების ინტერესს და ჩართულობას სწავლების პროცესში.

რაც შეეხება სწავლების ძირითად ფორმას, რომელიც



უმაღლეს სასწავლებლებში სოფლის მეურნეობის და მისი მომიჯნავე დარგების სხვადასხვა მოდულებს (აგრონომია, ვეტერინარია, მევენახეობა-მელვინეობა, კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები, აგროეკოლოგია, სატყეო საქმე, აგრობიზნესის ადმინისტრირება) ითვალისწინებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წელს გამოცხადებული 45 ათასამდე ადგილიდან გასული წლის ანალოგიურად, მხოლოდ 1050-მდე ადგილი, ანუ 2.3% მოდის. აქედან ყველაზე მეტი-200 ადგილი გამოცხადებული აქვს საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს “აგრო ბიზნეს მენეჯმენტის” სპეციალობით, ასევე აგრო მიმართულება პრიორიტეტულია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტში (300-მდე ადგილი სხვადასხვა მოდულებით) და 112 ადგილი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტს (გასული წლის ანალოგიურად).

საერთო კონტიგენტს თუ გადავხედავთ, ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებზე 25 %-ის ფარგლებშია, საიდანაც ძირითადი ადგილები ქვეყანაში ადრე გაცხადებული პრიორიტეტული დარგის ტურიზმის სპეციალობებზე მოდის. ასევე მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი ზოგადად მენეჯმენტი, მისი მოდულები – კერძოდ კი, აგრომენეჯმენტი მოხსენიებული არ არის (ზემოთხსენებული უნივერსიტეტების გარდა). მოსალოდნელია ამ მხრივ არსებითი ცვლილებები

ბები ქვეყანაში ახალი და რეალური პრიორიტეტული მიმართულების, სოფლის მეურნეობის, შესაბამისად უახლოეს მომავალში განხორციელდეს. ცხადია მნიშვნელოვანია ასეთი ცვლილებები, მაგრამ გატარებულ ღონისძიებებს მყისიერი ეფექტი არ ექნებათ, შედეგები უახლოეს პერიოდში ხელშესახები არ იქნება.

**ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია ზრუნვა აგროფირმების (ზოგადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის) პრესტიჟულობის ამაღლებაზე, ქვეყნის ინტელექტუალური და უნარიანი ადამიანების ამ სფეროში მიზიდვის მიზნით, რაც განაპირობებს დარგის მაღალი ტემპებით ზრდას და მასში სახელმწიფოს მიერ მიმართული ფინანსური რესურსებისა და ძალისხმევის სწრაფ და ეფექტიან უკუგებას. ამის განხორციელებას კი ტრადიციულ მეთოდებთან (დარგის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შემუშავება და დამტკიცება, საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის ცვლილება, შიდა ბაზრის დაცვის ღონისძიებები, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მიზნობრივი პროგრამები და სასწავლო პროგრამები და ა.შ.) ერთად კრეატიული მიმართულებების ხელშეწყობაც ესაჭიროება.**

**თამარ ბიჭიკაშვილი**  
საქართველოს ეროვნული  
უნივერსიტეტის (სეუ)  
ასოცირებული პროფესორი

**AGRO MANAGEMENT - REQUIREMENTS AND PERSPECTIVES**

**Tamar Bichikashvili**

**SUMMARY**

Globalization along with positive impact has a plenty of negative influence on our economy, including agriculture.

*Corresponding to globalization and fastest possible growing information flows, managers should be prepared in accordance with the modern challenges of agriculture, who along with development of rural - agricultural activities will be able to develop and manage the relationships between suppliers and customers, to innovate new approaches of human resources' management.*

In the country, formation of agro managers' sphere is at the very first level. Training of the high skill agricultural managers is the main problem of the country.

In this sphere are important arrangements to be conducted in two main directions,

Firstly, we believe that it is a relatively large scale and more difficult to imply - basic and elemental mass level issues training.

Secondly - the basic education in agro management.

It is necessary to train agro leaders, who will be able to conduct people in agro sphere, studying skills which are required in modern agro sphere; they will make agro companies more profitable and successful.

Agro coaching can become one of the productive forms, which is already been successfully used in many countries.

As for the basic form of teaching which envisages institutions of higher education in agriculture and different modules of allied sectors, current year from announced 45 thousand places only 1030 – place is available i.e. 2.7%.

It is greatly important to take care of upgrading the prestige of agro companies (generally rural – agricultural activities), in order to attract intelligent and skilful country people that leads to high tempo field growth and the state-directed financial resources and the rapid and effective return of efforts.

# დასაქმების პრობლემებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ საქართველოში

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, შრომის ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას.

თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა სწორედ მოსახლეობის დასაქმების დაბალი დონეა, რაც ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობითა და სამუშაო ადგილების სიმცირით აიხსნება.



უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე აქტიური დავის საგანია თვითდასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვის კრიტერიუმები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, თვითდასაქმებული არის ადამიანი, რომელიც საქმიანობს ოჯახური შემოსავლის მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ სანარმოში (მეურნეობაში) უსასყიდლოდ მომუშავე პირი. მათ რიცხვშია ის ადამიანებიც, რომლებიც ამუშავებენ თავიანთი ოჯახის მიწას.

დღეს საქართველოში დასაქმებულად ითვლება ყველა, ვინც გამოკითხვის პერიოდისთვის გასული 7 დღის განმავლობაში შემოსავლის მიღების მიზნით თუნდაც ერთი საათი მუშაობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, მომუშავეთა საერთო რაოდენობის 29,2 % საოჯახო მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე ან ნათესავისთვის უსასყიდლოდ დამხმარე პირებზე მოდის, რომელთა მიკუთვნება დასაქმებულებსადმი, ექსპერტთა აზრით, საკამათოა, თუ მხედველობაში არ იქნა მიღებული ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა, მაგალითად, ნამუშევარი დროის ხანგრძლივობა, დასაქმებიდან მიღებული სარგებელი და სხვ.

პრობლემაა, რომ დღეს საქართველოში თვითდასაქმებულები ითვლებიან დასაქმებულებად. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში თვითდასაქმებულებს მოიხსენიებენ „ნაწილობრივ დასაქმებულებად“, რაც, ექსპერტთა აზრით, უფრო მისაღებია, ვინაიდან, ერთ შემთხვევაში, თვითდასაქმებული ადამიანი შესაძლოა წარმატებული მენარმე იყოს, მაგრამ, მეორე შემთხვევაში - „შენიღბული“ უმუშევარი, რომელსაც უჭირს „ფორმალური“ სამუშაოს პოვნა და, თვითგადარჩენის მიზნით, იძულებულია თვითდასაქმდეს.

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში დასაქმებულთა თითქმის 2/3 თვითდასაქმებულია და მათი საერთო რაოდენობა მილიონს აჭარბებს, ხოლო დაქირავებული - მხოლოდ 600 ათასი ადამიანია; ამასთანავე, თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ეწევა არაფორმალურ, დაურეგისტრირებელ საქმიანობას.

დასაქმების კუთხით ვითარება ითვლება ნორმალურად იმ შემთხვევაში, თუკი დაქირავებით დასაქმებულთა ოდენობა აჭარბებს თვითდასაქმებულთა ოდენობას; წინააღმდეგ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა მეტად მცირე იქნება. თვითდასაქმებული სამუშაო ძალა ვერ ჩაითვლება ეკონომიკაში სტაბილურ ძალად, როგორც წესი, ის ვერ გამოიმუშავეს საკმარის შემოსავალს იმისათვის, რომ ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას შეუწყოს ხელი. შესაბამისად, ფორმალური დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები სერიოზულად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

თუ გადავხედავთ დასაქმების ტიპების ტენდენციებს საქართველოში 2008-2012 წლებში, დავინახავთ, რომ, მართალია, თვითდასაქმებულთა წილის უმნიშვნელო კლების ტენდენცია აღინიშნება (64,2 %-დან 61,4 %-მდე) და, ასევე, უმნიშვნელოდ იზრდება დაქირავებით მომუშავეთა წილი (35,8 %-დან 38,6 %-მდე), მაგრამ საერთო სურათი უცვლელია - თვითდასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად სჭარბობს დაქირავებულთა რიცხვს. დამსაქმებლებზე მოდის დასაქმებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 1 %, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ბიზნესს არა აქვს ფართო მასშტაბები, მენარმეთა ფენა განუვითარებელია.

ამასთანავე, თვითდასაქმებული მოსახლეობა უმეტესად სოფლის მეურნეობაშია კონცენტრირე-

ბული; ოფიციალური სტატისტიკით, დასაქმებულთაგან ყოველი მე-4 სოფლად თვითდასაქმებულია და ამ დროს, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, 2013 წლის მონაცემებით, მხოლოდ 9,3%-ია. საგანგაშოა, რომ იმ სექტორის წილი მშპ-ში, რომელშიც დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 53%-ია ჩართული, ასე დაბალია, მით უფრო, რომ სოფლად უმუშევრობის დონე მხოლოდ 7%-ს შეადგენს (მაშინ, როდესაც ქალაქად უმუშევრობა 26,2%-ს აღწევს), გარდა ამისა, სოფლად მთლიანად დასაქმებულთა 80% თვითდასაქმებულია, რაც იმას ნიშნავს რომ ისინი სოფლის მეურნეობის სექტორში არიან ჩართულნი.

ოფიციალური სტატისტიკით, დასაქმებულთაგან ყოველი მე-10 არასასოფლო თვითდასაქმებით (ძირითადად ვაჭრობით) ირჩენს თავს. საქსტატის 2012 წლის 1 კვარტალის მონაცემებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეებიდან ვაჭრობას, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტს უჭირავს 21,8%, მთლიან შიდა პროდუქტში კი ვაჭრობის წილი 17,3%-ის დონეზეა.

სამწუხაროა, რომ მოსახლეობის დასაქმების ზემოთ განხილული ორი უმსხვილესი სექტორი - სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა - შრომის მძიმე პირობებითა და დასაქმებულთა მცირე შემოსავლებით ხასიათდება.

სოფლად მცხოვრებთათვის საკუთარ მიწის ნაკვეთებზე საქმიანობა არსებითად თვითგადარჩენასა და საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობის ფულად შემოსავლებში მხოლოდ 6-7%-ს შეადგენს.

რაც შეეხება ვაჭრობას, იგი ძირითადად ბაზრობებისა და მცირე სავაჭრო ობიექტების სახით არის წარმოდგენილი. ეკონომიკური საქმიანობის ეს სფეროც შრომის მძიმე პირობებით და დაბალი შემოსავლებით ხასიათდება.

ზოგადად, ე.წ. „ღარიბი დასაქმებულების“ პრობლემა, რაც დაბალ ხელფასებსა და შემოსავლების სიმცირეს უკავშირდება, საქართველოსთვის აქტუალურია ვერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან.

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ 2006 წლის სექტემბერში ჩატარებული სპეციალური კვლევის შედეგებით, საქართველოში დაქირავებით მომუშავეთა 1/3-ზე მეტს საარსებო მინიმუმზე ნაკლები ხელფასი ჰქონდა. დღესაც მოსახლეობის 17,4% დღეში 1,25 აშშ დოლარზე ნაკლებ თანხაზე ცხოვრობს (შრომისუნარიანო მამაკაცის საარსებო მინიმუმი, 2014 წლის თებერვლის თვის მონაცემებით, 155,3 ლარს შეადგენს). მართალია, 2009-2012 წლებში დაქირავებით მომუშავეთა საშუალო ნომინალური ხელფასი 556,8 ლარიდან 712,5 ლარამდე გაიზარდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მომუშავეთა უმრავლესობისათვის შრომის ანაზღაურება საარსებო მინიმუმს ვერ სცდება.

ეს იმით აიხსნება, რომ საქართველოში ძალიან მაღალია ხელფასის დიფერენციაცია როგორც საქმიანობის სფეროების, ისე თანამდებობების მიხედვით, თანაც, ინფლაციური პროცესების გამო მომუშავეთა რეალური ხელფასი მცირდება, რაც განსაკუთრებით მტკივნეული დაბალშემოსავლიანი ფენებისათვისაა.

შრომის ანაზღაურების შედარებით მაღალი დონეა საფინანსო საქმიანობის (1402,3 ლ), სახელმწიფო მმართველობის (1031,2 ლ), ელექტროენერჯის, აირისა და ნყალმომარაგების (919,9 ლ), ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (943,4 ლ) სფეროებში, სადაც მომუშავეთა არცთუ დიდი ნაწილია დასაქმებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დომინირებს ე. წ. „მეორადი შრომის ბაზარი“, ისეთი დამახასიათებელი ნიშნებით, როგორცაა დაბალკვალიფიციური და არაკვალიფიციური სამუშაო ადგილები, შრომის მძიმე პირობები, სოციალური დაცვისა და გარანტიების დაბალი დონე, შრომის დაბალი ანაზღაურება, კარიერული წინსვლის შეზღუდული შესაძლებლობები და ა. შ.







რაც შეეხება „პირველადი შრომის ბაზარს“, იგი ხასიათდება ისეთი ნიშნებით, როგორცა **მაღალკვალიფიციური კადრები, შრომის კარგი პირობები, მაღალი ხელფასები, სოციალური გარანტიები და დაცულობის მაღალი ხარისხი, მაგრამ მისი არეალი შეზღუდულია და დიდ გავლენას ვერ ახდენს დასაქმების სფეროში არსებულ საერთო სიტუაციაზე.**

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, სამწუხაროა, რომ საქართველოში არ არსებობს დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზა, არ არსებობს უმუშევართა სოციალური დაცვის სისტემა, გაუქმდა დასაქმების სახელმწიფო სამსახური და შრომის სახელმწიფო ინსპექცია.

მართალია, 2006 წლიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში დასაქმების ოთხი ოფიციალური პროგრამა განახორციელა, მაგრამ თუ რამდენად წარმატებული იყო ეს პროგრამები - დავის საგანია.

დასაქმების პირველი პროგრამა 2006 წლის აგვისტოში დაიწყო. იგი საქართველოს მოქალაქეებს სამი თვის განმავლობაში კერძო სექტორში სტაჟირების გავლის საშუალებას აძლევდა. პროგრამაში 50 000 ადამიანი მონაწილეობდა, ყოველმა მათგანმა ყოველთვიური 150-ლარიანი სტიპენდია მიიღო, რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა 24 მილიონი ლარი. ოფიციალური მონაცემებით, ამ პროგრამაში ქვეყნის მასშტაბით 4 736 მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმო ჩაერთო და სტაჟირების გავლის საშუალება 44 471 ადამიანს მიეცა. მაგრამ, ვაკანსიები, ძირითადად, შემდეგ პროფესიებზე გამოცხადდა: დამლაგებელი, დასუფთავების სამსახურის მუშაკი, სადაზღვევო აგენტი, სარეკლამო აგენტი, დისტრიბუტორი. რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამაში ჩართულთაგან უმეტესობამ სტაჟირება ისეთ პროფესიებზე გაიარა, რომელსაც განსაკუთრებული მომზადება არ სჭირდებოდა.

დასაქმების მეორე პროგრამა სახელწოდებით - „დასაქმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარე-

ბით,“ ხელისუფლებამ 2007 წლის ზაფხულში დაიწყო. პროგრამით უნდა ესარგებლათ დამსაქმებლებს. რომელთაც პროგრამის განხორციელების შემდეგ უმუშევარი ადამიანები უნდა დაესაქმებინათ.

დასაქმების მესამე პროგრამის მიზანი, რომელიც 2007 წლის 5 დეკემბერს დაიწყო, პირველი პროგრამის მსგავსად, მუშახელის პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში სახელმწიფო მხარდაჭერა იყო. მასში მონაწილეობა 25-იდან 65 წლამდე ასაკის 100 000 ადამიანს შეეძლო. ექსპერტების აღნიშნავენ, რომ პროგრამა თავიდანვე არაორგანიზებული და ქაოტური იყო. საბოლოოდ, 100 000 -ის ნაცვლად რეგისტრაცია 113 000 ადამიანმა გაიარა. მათ, სტიპენდიის სახით, სამი თვის განმავლობაში ყოველთვიურად სახელმწიფოსგან 200-200 ლარი მიიღეს, ეს კი სახელმწიფო ბიუჯეტს 65 მილიონი ლარი დაუჯდა. პროგრამაში დარეგისტრირებული მონაწილეების უდიდესმა ნაწილმა სახელმწიფოსგან სტიპენდია ყოველგვარი გადამზადების გარეშე მიიღო.

ბოლო, 5-წლიანი პროგრამა სათაურით - „საქართველო სიღარიბის გარეშე“- 2008 წელს წამოიწყო; ამ პროგრამის მიხედვითაც 10 მილიარდი დოლარის ინვესტიცია უნდა მოზიდულიყო და ეკონომიკის გაჯანსაღების შედეგად 200 ათასი ადამიანი დასაქმებულიყო, მაგრამ 2011 წლის მონაცემებით, მხოლოდ 3 მილიარდ 41 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო რამდენად იქნა მიღწეული ამ ღონისძიების მთავარი მიზანი - უმუშევრობის შემცირება - სადავოა.

დღეს საჭიროა დასაქმების აქტიური სახელმწიფო ხელშეწყობა, შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნა.

ძირითადი სფეროები და მიმართულებები, სადაც შრომის ბაზრის ეფექტიანად

ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები უნდა გატარდეს, შემდეგია:

- დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება/რეალიზაციისათვის სპეციალური სახელმწიფო უწყების შექმნა;
- შრომის ბაზრის რეგულირების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- შრომის ბაზრის კვლევის გამართული სისტემის ჩამოყალიბება.

სწორედ ამ მიზნების განხორციელებას უკავშირდება 2013 წლის 2 აგვისტოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა“; დღის წესრიგშია დასაქმების სფეროში აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, კერძოდ, „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, უმუშევართა პროფესიული სწავლების სახელმწიფო პროგრამის მომზადება, აგრეთვე, ვინაიდან შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა, მთავრობა გეგმავს დასაქმების სახელმწიფო სამსახურის - „დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების“ ქსელის შექმნას. საქართველოს 7 ქალაქში (თბილისში, ბათუმში, თელავში, გორში, ქუთაისში, ფოთში, ახალციხეში) შექმნილი „კონსულტაციისა და დასაქმების ცენტრების“ ბაზაზე და მათი გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებელია დროის მოკლე პერიოდში ჩამოყალიბდეს

დასაქმების სახელმწიფო ცენტრების ქსელი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, როგორც ეს მოხდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს მაგალითზე. საქართველოში დღეისათვის დასაქმების სახელმწიფო ცენტრები ფუნქციონირებს მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. კერძოდ, 2011 წლის ოქტომბერში შეიქმნა სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო“, რომელსაც აქვს მუნიციპალური (ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს) განყოფილება.

სამთავრობო სტრატეგია ითვალისწინებს „დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების“ შექმნას საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის დონეზე. აღნიშნული ცენტრები გაერთიანებული იქნებიან ერთიან სისტემაში, რაც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის კოორდინაციას, რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, ქვეყნის მასშტაბით სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნების ოპერატიულად დაკმაყოფილებას.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ მსგავსი ცენტრები წარმოადგენენ არა მარტო დასაქმების ხელშეწყობის ეფექტიან ინსტიტუტს, არამედ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანწილად განმაპირობებელ ფაქტორს.

**ხათუნა თოდუა,**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ანსუ ასოცირებული პროფესორი

## **EMPLOYMENT PROBLEMS AND THE GOVERNMENT'S ECONOMIC POLICIES IN GEORGIA**

**Khatuna Todua,** Candidate of sciences Economics.

### **SUMMARY**

The topic of effective employment of Georgian population is highly relevant nowadays. There is a lack of jobs and low levels of employment in our country in modern conditions. Solving these problems requires serious care from the state.

The employees are considered self-employed in Georgia today, while by the official statistics, self-employed workers comprise 2/3 of the whole employed. In 2008-2012 years there were slight decline in the share of self-employed and also a slight upward trend for hired employees' share, still that has not had any impact on the overall picture - the number of self-employed is still much higher than the number of hired employees.

At the same time, the population is mainly self-employed in the fields of agriculture and trade, both of which are characterized by the poor labor conditions and low incomes.

The problem of so-called „poor employees“ is very actual for Georgia beginning from 90-ies of last century. Although in 2009-2012 years the average monthly nominal salary of hired workers rose from GEL 556.8 to GEL 712.5, but nevertheless, the majority of employees' salaries are in the terms of minimum and can't go beyond the limits.

So, the dominant in Georgia is so-called secondary labor market, which is characterized by poor working conditions, low-skilled and unskilled staff, low wages, limited opportunities for career advancement and so on, while the primary labor market's terms, by highly trained staff, good working conditions, high levels of social guarantees - are too limited in its scope and does not affect the overall employment situation.

The Georgian government plans to improve the difficult employment situation by the active state policy promotion, also by adjusting effective system of labor market research and effective mechanisms for employment regulation, creating the necessary infrastructure for effective functioning of the labor market and improving the legal framework for its regulation.



# სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის როლი მუნიციპალიტეტების სოციალურ- ეკონომიკური განვითარების საქმეში

**უცხოელი და ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარებისადმი მიძღვნილი ნაშრომები და განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებული მეცნიერული მიღწევები, საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებული ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი გაზრდის საფუძველი უნდა გახდეს.**



**ბორის ჭიჭინაძე**  
აკაკი წერეთლის სახელობის  
ქუთაისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

დღეისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი სამართლებრივი საფუძვლებია: „საქართველოს კონსტიტუცია“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტები, ხოლო თბილისის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების წესი და თვითმმართველობის უფლებამოსილებანი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით. მაღალმთიან რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამატებითი უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები კანონით უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებისთვის საჭირო, შესაბამისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და მატერიალურ-ფინანსური პირობების შექმნას და ხელს უწყობენ საქართველოს მოქალაქეებს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების განხორციელებაში.

ხელისუფლების უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განეკუთვნება:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფო პროგრამების დამტკიცება და განხორციელება;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში კანონით დადგენილი სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

გ) მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტების დადგენა და მისი უზრუნველყოფა;

დ) სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების ურთიერთობის რეგულირება, ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის გადასაცემი გამოთანაბრებითი ტრანსფერის განსაზღვრა და უზრუნველყოფა;

ე) თვითმმართველი ერთეულებისთვის იმ დამატებითი გადასახდელების კონპესაცია, რომლებიც

გაწეულ იქნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილების შედეგად;

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;

ზ) სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის უზრუნველყოფა და დაცვა;

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის (თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილება) თანახმად, თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. კანონით მკაცრადაა განსაზღვრული, რომ მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

ა) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;

ბ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მისი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;

გ) ინვესტირების მიმართულებების, საკუთარი, აგრეთვე ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრა და თვითმმართველ ერთეულში ინვესტიციების ხელ-



შეწყობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულების დამტკიცება ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ;

- დ) ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;
- ე) დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება;
- ვ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა, თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ზ) თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით კანონით განსაზღვრული იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- თ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ი) მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა.

დღეისათვის ადგილობრივი თვითმმართველობები ფუნქციონირებენ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. იგი წარმოადგენს თვითმმართველობების ძირითად სამოქმედო კანონს. ამ კანონით რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფუნქციები, განსაზღვრულია მათი უფლებები და მოვალეობები. ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო მოწყობა კი რეგულირდება საქართველოს კანონით, რომელიც „საბიუჯეტო კოდექსის“ სახელითაა ცნობილი. სწორედ ეს ორი კანონი არის ძირითადი ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, სხვა მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებთან ერთად.

საქართველოს კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს გააჩნიათ საკუთარი უფლებამოსილებები:

- ა) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება; ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვა;
- გ) ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესების, ტრანსპორტის მარშრუტებისა და გრაფიკების განსაზღვრა და შესაბამისი ნებართვების გაცემა; დ) გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება.
- ე) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ვ) საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვების ორგანიზება, სასაფლაოების პატრონობა; ზ) თვით-

